

29/2

31

# 3006370



№ 1  
1929

3006370

# ქველა პიონერსა და მოწაფეს!

ნორჩ პიონერებო! მშრომელთა ბავშვებო!

საბჭოთა კავშირი ქალაქდის სიმშვილს განიცდის, ქალაქი კი ჩვენთვის საჭიროა: უძისოდ არ იქნება წიგნები, გაზეთები, რვეულები, უძისოდ შეუძლებელია კულტურული მშენებლობა.

ჩვენში ქალაქდის დროებითი კრიზისია. ეს კრიზისი ჩვენზე ძალებით უნდა მოეხმათ. ჩვენს დიდ ქვეყანაში გვაქვს შესაძლებლობა გააუკეთოთ ეს საკუთარი ძალებით. ამიტომ ნ. ზ. ცენტრალური ბიურო მოუწოდებს პიონერებსა და მოწაფეებს 20 იანვრიდან 21 თებერვლამდე ძველი ქალაქდის შესაგროვებლად. მოგიწოდებთ ძველი ძაღლით გააკეთოთ ეს დიდი საქმე, შეკავშირებულად წასვიდეთ ლაშქრობაში გამოუსადეგარი ქალაქდის შესაგროვებლად, რაც შემდეგ საბჭოთა ქალაქდის ფაბრიკების მიერ გადაიშვადება სახმარ ქალაქდად.

პიონერებო!

1. წადით დაწესებულებებში, კანცელარებში, საწეობებში, კლუბებში, ბიბლიოთეკებში და ოჯახებში გამოუსადეგარი ქალაქდის შესაგროვებლად.

2. ჩატარეთ ამ საქმისათვის 200.000 მოწაფის მობილიზაცია, აამოძრავეთ ამ საქმისათვის ყველა სასოგადოებრივი ორგანიზაცია და პირველ რიგში კი კომკავშირის უჯრედში.

3. შეგროვილი ქალაქდისაგან მიღებული გასამრჯელო გადაგზავნეთ ბავშთა სასაღებოს დასახმარებლად. კანცელარებში, საწეობებში, დაწესებულებებში, ოჯახში ვიწვევთ პიონერკოლექტივებს — ქალაქდის მოგროვების ლაშქრობაში.

ნორჩ პიონერთა ცენტრალური ბიურო.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. რას ვეასწავლიდა ლენინი — ვ — მ . . . . .	2	88.	8. საბჭოთა კავშირის შორეულ კუთხეში . . . . .	13	88.
2. ნაძვებს გაუფრთხილდით — მ. კეჩუაშვილი . . . . .	3		9. აფრიკის ტყეებსა და ველებში . . . . .	14	
3. დასვენების დროს — ლექსი — ვ. ვაზესკირია . . . . .	4		10. საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაცია — შ. თ — ლი . . . . .	15	
4. პატარა შოფერის ამბავი — ლექსი — ირ. აბაშიძე . . . . .	4		11. პიონერების ცოცხალი საქმეები . . . . .	18	
5. ინდიანა — ს. ერთაწმინდელი . . . . .	5		12. ანტარქტიკის გამოკვლევა — ისარი . . . . .	20	
6. ბიჭი-ვაჟაკი — ს. შთვარაძე . . . . .	8		13. მოიხადეთ ქული — კომკავშირელი . . . . .	23	
7. პიონერი ოჯახში . . . . .	10		14. თამაზობანი — გარეკანზე		

329.154(05)

კ-47

მუშათა კლასის სამხისნათობის იყავ მხალი



# პიონერი

1929

15

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს (საქ. ა. ლ. დამკვეთის დეკანოზი) და განათლების სახალხო კომისარია-ს დეციალური აღზრდის მთავარმართველობის ყურნალი ბავშებისათვის

წელიწადი IV  
№ 1



140-1929/ა

578.



ლენინის გზით—სოციალიზმისკენ

# რას გვასწავლიდა ლენინი.

საქართველო  
ბიულეტენი

ახალგაზრდობას ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ილიჩი ახალგაზრდობაში ხედავდა იმ ძალას, რომელმაც უნდა დაასრულოს უფროსების მიერ დაწყებული საქმე. აი რას ლაპარაკობდა ლენინი ამის შესახებ: „ის თაობა, რომლის წარმომადგენლები 50 წლისა არიან, უნდა ვიფიქროთ, ვერ ნახავს კომუნისტურ საზოგადოებას, მანამდე ეს თაობა ვერ მიაღწევს, ის თაობა კი, რომელიც დღეს 15 წლისაა, კიდევ ნახავს და თვითონვე შექმნის ამ საზოგადოებას და მან უნდა იცოდეს, რომ მთელი ამოცანა მისი ცხოვრებისა არის შექმნა ამ საზოგადოებისა“.

ლენინის ეს სიტყვები ყოველ ჩვენგანს უნდა ახსოვდეს, ჩვენ უნდა ვცდილობდეთ რაც შეიძლება მეტი გავაკეთოთ იმისთვის, რომ ლენინის ანდერძები განვახორციელოთ, კომუნისტური საზოგადოების შენება არ შეიძლება ერთბაშად, მას ესაჭიროება ხანგრძლივი და ენერგიული მუშაობა. უნდა ვიცოდეთ, რომ კომუნისტური საზოგადოების შენება ჩვენზეა დამოკიდებული და ამიტომ ამხ. ლენინის მითითებანი ჩვენი საქმიანობის პროგრამად უნდა გავიხადოთ.

ლენინი გვასწავლის სასტიკი და შეუბრალებელი ბრძოლა ვაწარმოოთ მუშათა კლასის მტრების წინააღმდეგ, დაწყებული უცხოეთის კაპიტალისტებით და გათავებული შინაური მტრებით, როგორცაა ნეპმანი, კულაკი, ყოველი ჯურის მავნებელი და სხვ.

ჩვენი მონაწილეობის მიღება სოციალისტურ მშენებლობაში მაშინ იქნება ნაყოფიერი და შედეგებს მაშინ გამოიღებს, როდესაც გვეცოდინება, თუ როგორ უნდა ვაშენოთ ახალი საზოგადოება, ამი-

სათვის კი უნდა ვისწავლოთ. აი რას წერს ამის შესახებ დიდი ბელადი: „რათაც გინდა დაგვიჯდეს, ჩვენ უნდა დავისახოთ ამოცანად: პირველად — სწავლა, მეორედ — სწავლა, მესამედ — სწავლა, შემდეგ შევამოწმოთ — ეს სწავლა მარტო ფაზებად ხომ არ დარჩა“, ე. ი. საჭიროა შემოწმება — რაც ვისწავლეთ, გამოვიყენეთ ის თუ არა ცხოვრებაში.

ჩვენ უნდა ვისწავლოთ არა მარტო წიგნებით, არამედ საზოგადოებრივ ასპარეზზე პრაქტიკული საქმიანობითაც. სწავლასთან ერთად აქტიური მონაწილეობა უნდა მივიღოთ სკოლის შინაცხოვრებაში, შიუკავშირებელ ბავშვებს დავებმართოთ, სოფლის პიონერებს და ბავშვებს წიგნები და სასწავლო ნივთები უფასოდ მივაწოდოთ, ვეცადოთ მოვსპოთ უვიცობა, შევიტანოთ შეგნება და განათლება მუშათა და გლეხთა ფართო მასებში. ამაშია ჩვენი სწავლის დედააზრი, ამის გაკეთება კი შეიძლება მაშინ, როდესაც ჩვენ შეკავშირებული ვიქნებით. ლენინი გვასწავლის, რომ ბურჟუაზიის და უვიცობის დამარცხება შეუძლებელია ხანგრძლივი, შეუპოვარი, დაუნდობელი ბრძოლის გარეშე, რისთვისაც საჭიროა შეკავშირება, სიმტკიცე, დისციპლინა და ნებისყოფის მთლიანობა.

ჩვენც აქეთკენ უნდა მივილტოდეთ. ნორჩ ლენინელთა მოვალეობაა რიგები შეამჭიდროონ, დაირაზმონ ილიჩის დროშის ქვეშ და შეასრულონ ლენინის ანდერძები.

ვისწავლოთ ბრძოლა, ვისწავლოთ ცხოვრება.

გ — მ.

**გავშეგო! ხუთი წელი უნსრულდა ლენინის გარდაცვალებიდან!**

**უპვისწავლოთ ლენინის მოკლვრება და ცხოვრება!**

**მტკიცედ უამოვიკრივოთ ლენინის პარტიის და ლენინური კომპარაუზირის გარშეგო!**

**წინ — ლენინის გზით!**



მოთხრობა

ყველას ახსოვს წელიწადის ეს დრო, თვით ბებერ ნაძვანსაც, რომელსაც წარსული სილამაზე ისევ შერჩენია. ახსოვს, რომ ყოველ ამ დროს მათი სტუმარი იყო ქარიშხალი და ცულიანი გლეხი. ახსოვს ბებერ ნაძვანს, რამდენი უმანკო ნაძვი გამოუსალმებიათ სიცოცხლისთვის ცულით შეიარაღებულ ადამიანებს. დღეს კი, როცა წელიწადის ისეთივე დროა, მათი სტუმარი მხოლოდ ქარიშხალია. ცულის კაკუნი კი აღარსად ისმის. უკვირს ეს ყველაფერი ბებერ ნაძვანს და სიხარულით გასცქერის ირავლივ შემოხვეულ შვილეს, დაიმედებული, რომ მათ სიცოცხლეს საფრთხე არ მოელოს.

თბილი ოთახიდან, სარეცელზე წააწოლილი, ბავშვები ტყეს გასცქერაინ. ეს მანგლისის დისპანსერია. საუბრის შემდეგ ავადმყოფი ბავშვები, ექიმის რჩევით, ისვენებენ. ყველა ჩაფიქრებულია. ვინ რაზე ფიქრობს! ზოგი ივონებს წარსული შობის დღეებს, როცა მდიდრების ოჯახებში მრავალი კოპწია ნაძვი ბრჭყვიალობდა. რამდენ ნაძვანს უსპობდენ მაშინ სიცოცხლეს! ეხლა კი შობაა, მაგრამ ნაძვის ხეები მხოლოდ ხსოვნაშია.

— ამხანაგებო, აი, ხედავთ, — ამბობს ერთი მათგანი, — ხეალ შობაა. არ შემოდლია ეს დღე არ მოვიგონო: პირველად ამ დღეს ვიგრძენი შეურაცხყოფა. დედაჩემი მრეცხავი იყო, ვცხოვრობდით ლარიბად მიყრუებულ ქოხში, ხან პურიც კი არა გვქონდა. მახსოვს, ამ დღეს დედაჩემმა მოიტანა თეთრი პური და ქათამი. მან ხატის წინ სანთელი აანთო, ილოცა, მეც პირჯვარი გადამწერა და მიტხრა: — შვილო, დღეს შობაა. დიდი დღესასწაულია. ამ დღეს დაიბადა ქრისტე ღმერთი; დღეს ყველა ქეიფობს, ლარიბი ლარიბულად, ხოლო მდიდრები მდიდრულად. მე წაგიყვან ეხლა და გაჩვენებ, მდიდარი ბავშვები როგორ ეგებებიან ამ დღეს.

წამიყვანა. იქ ენახე, რაც არასოდეს არ მენახა; სამზარეულოს კუთხეში მიკუნჭული ფანჯრიდან ვუცქეროდი. ქერამდე ასული ნაძვის ხე გაჩირაღლებული იყო, ზედ ეკიდა აუარებელი სათამაშო, მას გარშემო თხუთმეტამდე ბავში ეხვია და მხიარულიდ მღეროდენ თვალმგაფაცვიკებულნი. თითოე-

ული მათგანის მოძრაობას თვალს ვადევნებდი. უცებ გაისმა როილის ხმა. ბავშვებმა ერთმანეთს ჩაჰკიდეს ხელი და შობის ხის გარშემო რბენა დაიწყეს. მუხლები მიკანკალებდა, მუსიკის ხმამ ვამიტაცა და არ მახსოვს, მეც როგორ გავჩნდი მათთან. მაგრამ უცებ მხიარულება შეწყდა, როილთან მჯდომი ქალი წამოდგა, ხელი კარებისკენ ვამიშვირა და გარკვევით მიტხრა: „აქ რა ვინდა, აქ შენი ადგილი არ არის!“ გამოვბრუნდი ატირებული. კარებში დედა შემეფეთა და გულში ჩამიკრა. შემჯავრდა ის დღე და ის სახლიც, ს დაც ეს ამავეი შექმთხევა; აი დაუმატე ისიც, რომ ცოტა ხანს შემდეგ დედაც მომიკვდა, რეცხის დროს აღუღებული წყალი გადაესხა და ერთი კვირის წამების შემდეგ გარდაიცვალა, მე კი ქუჩის მაწანწალა გავხდი და, ვინ იცის, რა მომელოდა, რომ აქ არ მოვმხვდარიყავ.

— ეს დღე ჩემთვის კიდევ უფრო მწარეა — სთქვა თავის მხრივ მიტომ. — მამაჩემი ამ დღისთვის ყოველთვის ნაძვანს ჰყიდდა ქალაქში და ამ ფულით ყიდულობდა ჩვენთვის რაღაცებს.

ერთს თოვლიან ზამთარში, როცა მამა ნაძვანს მოსაქრელად წავიდა, ის ზვავმა დაიტანა. დავრჩით ობლად სამი და-ძმა. ბევრი ტანჯვა, სიმშილი და დამცირება გამოვიარეთ, ჩემი ორი და-ძმა მოკვდა, რადგან ვერ აიტანეს ასეთი ცხოვრება, მე კი, როგორც ხედავთ, საბავშვო სახლში მომაწყეს და აქ ვიკურნები.

ამ საუბრის დროს ზეზე წამოდგა ანდრო და სთქვა:

— ამხანაგებო, დაანებეთ თავი წარსულის მოგონებას! უბედურმა დედაჩემმაც ეკლესიას შეწირა თავი, მაგრამ ჩვენ უნდა დავივიწყოთ ყველაფერი ეს. ხვალინდელი დღე ცრუმორწმუნეობის დღეა, ამ დღეს ხალხს ატყუებდენ, მრავალი წლის განმავლობაში ხალხი ამ წუბეში იბრჩობოდა და თუ ამ ნაძვის ხეებს ანადგურებდენ, მხოლოდ მდიდრის შვილების გასართობად. დღეს მათ არავინ სჭრის უმიზნოდ, და მათი სურნელება ჩვენ გვკურნავს. ნახვის ტყე სასარგებლოა, და ნაძვანს უნდა ვაფუფრთხილდეთ.

მარო კეჩუაშვილი.

## დასვენების დროს.

აბა, ჩემო ვანო, გოგი,  
მეგობარო ოქტომბრინა!..  
შეხე ეხლა, როგორ წითლად  
აელვარდა ფანჯრის მინა.

ზარი დაჰკრეს, სკოლის ზარი,  
და მზე წითლად დანაფერი  
მთიდან ისე გადმომდგარა,  
ვით მედროშე პიონერი.

აბა, ჩქარა, მაგ ფანჯრიდან  
ვის გასცქერი, ან რას უმზერ?  
ხომ კი იცით, დერეფანში  
გველის ცხელი ჩვენ საუზმე.

აი, ისევ დაჰკრეს ზარი,  
ზარმა ისევ გაირბინა...  
მაშ ეხლა კვლავ სკოლისაკენ,  
ვანო, გოგი, ოქტომბრინა!..

რას გარბიხარ, მეგობარო,  
დამიცადე, ნუ ხარ ცხარი...  
ყველა ათვის საკმაოა  
პური, ყველით გამომცხვარი.

თეფშების და ჭიქის რხევამ  
გაგვიწყალა გული ლამის;  
ყველას გხვდ ბათ რძე გამთბარი  
და ნაჭერი შაქარლამის.

ის დრო ეხლა აღარ არის,  
როს ერთს ჰქონდა საზრდო უქვად.  
თანასწორად გავყოფთ, ძმებო,  
ყოველ ნაჭერს, ყოველ ლუკმას.

ვ. გაბესკირია.

## კასტრა უოფარის აგზავნი.

ეხლაც, როცა ზეცა ნამავს  
განუწყვეტელ წვიმას და ბურს,  
დილიდანვე შოთას მამა  
ავტოთ ზიდავს კირს და აგურს.

მედგარია მამის ძალა,  
როს ოჯახიც შინ ახარებს;  
ბეჯითია შოთა სწავლით  
და შრომასაც არ იზარებს.

თან კაცობას ესეც ნატრობს  
და მუდამეამ იმ აზრს იცავს,  
რომ გამართავს თვითონ ავტოს,  
რომ მოზიდავს კირს და ფიცარს.

არ ასვენებს მამას მუდამ,  
სურს ქალაქის შრომა ნახოს,  
მანქანაზე ჯდომაც უნდა,  
რომ ბავშვებში იამაყოს.

ტყვილა ჯდომას კი არ ითხოვს,  
დახმარებას უწყევს გზაში,  
არ იქნება ხომ შრომის დროს  
ან სიცელქე, ან თამაში.

უზის გვერდით გულთამამი,  
თან გუგუნებს ავტოც მძიმედ,  
და ჩასთვალა უკვე თავი  
მშენებლობას მონაწილედ.

მოქრის ავტო, და ეყრება  
შოთას თავზე ფიცრის მტვერი  
ნეტავ, ნახონ მეგობრებმა,  
რომ მუშაა და მოფერი.

ხომ დიდი აქვს საქმე მასაც,  
როცა მამა მართავს საქვს,  
შოთაც ნიშანს აძლევს მასას  
და სირენას თითებს აჭერს.

სულ ეს არის საქმე მისი,  
დახმარებაც დანაპირი,  
მაგრამ ფიქრობს, რომ მერმისთვის  
|წავლით გახდეს შრომის გმირი.



მოთხრობა

1

— იცი, ინდო, დღეს ძალით წაიყვანეს ინდიანა და არავინ შეიბრალა, ტირილით თვალები ჰქონდა დაწითლებული; შორ დან ჩუმად მანიშნა, რომ შენთვის მეთქვა, — უთხრა თავისზე უფროს ბიჭს, როცა დილით მიადგა ბაბის პლანტაციას, პატარა აზიზამ; ის ქალაქ ბუნარესის მახლობელ სოფლიდან იყო, მდინარე განგის ნაპირად რომ არის.

— როგორ, ის ბებერი ქოთაკი კრიშნამურტი არ მოეშვა მაინც? საცოდავი ინდიანა!.. — აღმოხდა ინდოს და დაღონებული იქვე ჩამოჯდა ლერწმების ახლოს.

მზე უკვე გორაკს გადმოადგა, რომ ესენი აქ ისხდნენ და გვემებს აწყობდნენ, ოუ როგორ დაეხსნათ ინდიანა, როცა მათ თავზე წამოადგა აბიბუ, აქაური რაჯა, ინგლისელი პლანტატორის ერთგული მორჩილი, რომელიც თავისიანებს არ ინდობდა, ოღონდაც ბატონი ესამოვნებინა და ოქროები მიეღო.

— აქ რასა სხედხართ, თქვე ტურის ლეკვებო, თქვენა? ადექით აქედან და იმუშავეთ, თორემ ტყავს გაგაძრობთ!.. — დასკყივლა მან, შოლტი გადააწნა და წინ გაიგდო.

ინდოს პატარა გული სიბრაზით აენთო, მუშტები მოკუმშა, რომ ვეფხივით სცემოდა აბიბუს ყელში, მაგრამ რა ექნა უღონოს?

— არაფერია, ინდო, მოითმინე, თორემ, ხომ იცი, ბნელ ორმოში ჩაგვყრის ეგ ჯალათი წინააღმდეგობისთვის!.. — გადაუჩურჩულა აზიზამ და შეუდგენ ბაბის კრეფას...

— ო, რომ იცოდე, აზიზ, რა მენატრება იმ ქვეყნის ნახვა, საბჭოთა კავშირს რომ ეძახიან, გუშინ საღამოს რომ გველაპარაკებოდა იზდა დორჩი; იქ თურმე არც ინგლისელებია და არც მახარაჯები, მდიდარი ხალხი, ასე რომ გეჩაგრავენ აქ; იქ, თურმე, ჩვენაირი ბიჭები თავისუფლად იზრდებიან, სწავლობენ; თურმე პიონერებს ეძახიან იმათ ენაზე მათ... — ელაპარაკებოდა ინდო ჩუმად...

— იქა, თურმე, ინდიანას ტოლა გოგოებიც პიონერებიან და აქ კი ბებერ ქოთაკებზე ათხოვებენ... — ნალვლიანად დაუმატა აზიზამ.

2

ინდო იყო ადრე დაობლებული ბიჭი და ინდიანას მამასთან იზრდებოდა, რომელმაც ის შეიფარა; ის ჯერ პლანტაციამი მუშაობდა და როცა დაავადდა, ლოგინად ჩავარდა და აბიბუმ გამოაგდო, მერე მათხოვრობით ირ-

ჩენდა თავს; და როცა ნაშვილები ინდო წამოიხარდა, მამობლის მაგიერ დაიწყო მუშაობა, და აბიბუმაც სიამოვნებით მიიღო ბავში, რომელსაც იმის მეოთხედსაც არ აძლივდა ქირას, რასაც ინდიანას მამა იღებდა, დანარჩენს კი თვითონ იჯიბავდა.

ინდო რასაც იღებდა, უკლებლივ შინ მოჰქონდა...

ისა და ინდიანა ერთად იზრდებოდნენ და უერთმანეთოდაც ვერ ძლებდნენ.

— აბა, შვილო ინდიანა, რომ იცოდე, რა მდიდარი და პატრესაცემი კაცი გოხოულობს ცოლად! — სიხარულით უთხრა მამამ და თავზე ხელი გადაუსვა გოგონას.

— არ მინდა, მამა, ვერ მოვშორდები, — მიუგო მან.

— არა, შვილო, კრიშნამურტი ძლიერი კაცია, წინ ვერ აღუდგები, დილას იმისი კაცები იყვნენ და შეგპირდი... აი რა მოგიტანეს... — და ამ სიტყვებთან ერთად მამამ გახსნა აბრეშუმის ბოლჩა, საიდანაც გადმოაღება ახალი ტანსაცმელი და ყელზე ჩამოსაკიდი მარგალიტის მძივი... — დედოფალსავით შეგინახავს, შვილო, და მეც ამოვალ ამ სიღარიბიდან.

— ჩვენი ინდოც წამოვა იქა?

— არა, შვილო... მაგრამ კრიშნამურტს შეგეხვეწები, იქნება მსახურად აიყვანოს...

ინდო კი, რომელიც ამ სიტყვების თქმაზე შემოვიდა და ყური მოჰკრა, დაღონებული ჩამოჯდა კუნძზე.

— რა, ინდო, ავად ხომ არა ხარ? რაზე ხარ დაღონებული? — მიუალერსა ინდიანამ და გვერდზე მოუჯდა; უამბო მამის ნათქვამი და ძღვენიც აჩვენა.

— ჰმ... მერე და რა გიხარია? რა დროს შენი გათხოვებაა? შენაირები, თურმე, იქ პიონერები არიან და სწავლობენ... — მიუგო ინდომ და ხელი ჩრდილოეთისკენ გაუშვირა, სადაც, მისი აზრით, საბჭოთა კავშირი მდებარეობდა.

— რას იზამ, შვილო, ასეთია ჩვენი ადამი... სამოცი წლის მამაკაცს შეუძლია ითხოვოს ცამეტი წლის გოგო, — ჩაერია მამა და ჩიბუხს მოუკიდა.

— ის საცაა მოკვდება, ბებერი!.. — წამოიძახა ინდომ.

— რა ექნათ...

— როგორ თუ რა ექნათ? მერე და ჩვენი ინდიანა ცოცხლად უნდა ჩააყოლონ მას სამარეში?

— ასეთია ჩვენი ადამი. ინდიანა შეშინდა, დაღონდა.

3

აი ეს ამბავი გაახსენდა ინდოს, როცა მეზობლის ბიჭმა აზიზამ უამბო ინდიანას წაყვანის შესახებ:

ეს რამდენიმე დღის წინ იყო.

— საით?

— კრიშნამურტის სახლთან მინდა გავიარო. იქნება ინდიანას მოგკრა თვალი.

— მეც შენთან წამოვალ, მარტო არ გავიშვებ, ინდო, ვინ იცის, იქ რა გიყონ.

პლანტაციიდან წამოსული აზიზა და ინდო ამ ლაპარაკით შევიდნენ საღამოზე ბენარესის გარეუბანში, სადაც კრიშნამურტი ცხოვრობდა.

— აზიზ! — წამოიძახა ინდომ, რა ხეზე აცოცდა და შეიხედა მეორე სართულის ფანჯარაში.

— რა იყო, ინდო? — შეეკითხა აზიზა, რომელიც დაბლა სდარაჯობდა მეგობარს!

— რა და... კრიშნამურტი ხალიჩაზეა გაშლართული, ინდიანა თავით უზის, ხალხი თავჩაღუნული დგას დღონებულად...

— რა მოხდა?

— არ ვიცი...

ამ ორმა პატარა მეგობარმა დიდხანს იტრიალა აქ, რომ ვინმე გამოსულიყო და იკითხათ ამბავი.

— ნო-ნე! — დაუძახა აზიზამ იქიდან გამოვლ მობხეც დედაკაცს, რომელიც კრიშნამურტთან მსახურებდა და ეხლა საღდაც მიდიოდა.

— რა გინდა, აზიზ?

— რა ამბავია?

— რაჯა მოკვდა... იმ გლახის შვილმა, ახალმა ცოლმა, უბედურება მოიტანა თან... დღეს რომ მოუყვანეს, მან სიხარულით ჯირითი გამართა სტუმრებთან და გულის დამბლა მოუვიდა, ცხენიდან გადმოვარდა... მაგრამ არც ის დარჩება ცოცხალი: ხვალ დასწვავენ კოცონზე. — ეს სთქვა მოხუცმა დედაკაცმა და გაუღდა გზას.

მეგობრებს გაუხარდათ კრიშნამურტის მოციოება, ინდო ხომ ვეღარ მალავდა აღტაცებას, მაგრამ რა გაახსენდა, რომ ამითი ინდიანას არა ეშველება რა, რომ მას სიკვდილი მოეღოს, — ძალზე დაღონდა...

ის მთელ ღამეს არ მოსცილებია აქაურობას; აზიზა არ შორდებოდა მას, მაგრამ თვით ინდომ სთხოვა წასულიყო შინ და მარტო დაეტოვებინა; მას უნდოდა როგორმე შესულიყო და ინდიანა ენახა, მაგრამ როგორ? ინდიანას გარშემო ეხვეოდა კრიშნამურტის მთელი ჯალაბობა, ნათესავები, მსახურნი, მეზობლები; გოგონა იჯდა და ცრემლები ღაპა-ღუპით სცვიოდა. ინდო უყურებდა ამას ხიდან და არ იცოდა რით ეშველა თავისი განწირული დობილისთვის.

4

— შენ აქ რა გინდა, თხუნელავ? ა?! — დაუტრიალა კრიშნამურტის მებალემ ბიჭს, რომელიც მალალ კედელზე გასულიყო და რა კრიშნამურტის ოთახის ასავალი კიბე დაკეტილი დახვედროდა, იქვე ჩაეკეცა, ჩასძინებოდა.

ის შეშინებული წამოხტა, რა მებალის წიხლი მოხვდა, ტკივილისაგან დაიკლაკნა და ჯერ კიდევ არ იყო გამორკვეული, თუ რა მოხდა, დააპირა კიდევ გაქცევა, მაგრამ მებალემ ხელი სტაცა, არ გაუშვა...

— როგორ, შენ აქ საქურღლად შემოიპარე? — უყვიროდა მებალე და სცემდა.

— არა, ძია, მე.. ინდიანა უნდა მენახა, ის ჩემი დაა, მე არ მინდა, რომ ის ტირილდეს, მე არ მინდა, რომ ის აწამონ... მიუგო ბიჭმა და გული ამოუჯდა.

— ჰმ... ინდიანა შენი დაა?.. წადი... იმას დღეს ნახავ განგის პირას, მოედანზე... იმას, ალბათ, იქ იყევანენ კოცონზე... — მოლბა მებალე ინდოს გულანდილობით, შეეცოდა, აღარაფერი უყო, გარეთ გამოუშვა.

ძველი ადათი, რომელიც ინდოელებში კიდევ იყო დარჩენილი, ქმარი რომ მოკვდება, ცოლიც მოვალეა გაჰყვეს თანო, ბევრ თანამედროვე ინდოელში იწვევდა აღშფოთებას, მაგრამ ხმას ვერ იღებდნენ მახარაჯების, ბრამინების, ბუდას მოგვების წინააღმდეგ; ეს იქაური თავადები და სასულიერო პირები ჯერ კიდევ ძლიერი იყვნენ კოლონიზატორ ინგლისელების დახმარებით და ხე-ში ეჭირათ მუშები და გლეხები; ფარული რევოლუციონური ორგანიზაციები ინდოეთის თითქმის ყოველ მხარეში იყო, მაგრამ ჯერ ცხოვროდ ირახმებოდა, ამკარად შებრძოლება არ შეეძლო როგორც თავის კლასიურ მტრებთან, ისე დამპყრობელებთან. ბევრი ინდოელი თანაუგრძნობდა მათ და კრიშნამურტის მებალეც, რომელმაც ეხლა ინდო შეიბრალა და ჩუმიად გააპარა გარეთ, არავის გადასცა; დაუკითხავად, ჩუმიად, ქურდულად შეპარვა სხვის კარმიდამოში სასტიკად ისჯება იქ...

5

იქ, სადაც ბუდას დიდი ქანდაკება დგას, განგის ნაპირზე, რომელსაც ინდოელები წმიდა მდინარეს ეძახიან, აღმართეს კოცონი და დაასვენეს კრიშნამურტის გვამი, რომელსაც დიდძალი ხალხი შემოქსია; აქ იყო ინდო და მშობელიც, რომელაც უდროოდ დაღუპულ ინდიანას გლოვობდა; ყველას თვალები მისჩერებოდა გზას, საიდანაც მოჰყავდათ ინდიანა საქორწილო ტანსაცმელით.

აქ უნდა დაეწვათ ინდიანა.

ის, როგორც წესია, სიკვდილის წინ ჯერ განგში ებანა და შემდეგ ჩააცვეს ახალი, სასიკვდილო ტანსაცმელი და აიყვანეს კოცონზე.

— ნუ გეშინია, ინდიანა, ჩვენ განგებ მოვაწყობთ, თვალის ასახვევად ცეცხლს და შენ თამამად ადი. ჩვენ, რამდენიმე მეგობარმა, გადავწყვიტეთ შენი გადარჩენა. ამ კოცონს კი განგებ ვაწყობთ, ამ ძველი ადათის მიმდევარი ხალხის თვალის ასახვევად. ადი თამამად, — უთხრა კრიშნამურტის ოჯახის მახლობელმა, ერთმა ახალგაზრდა ვაჟმა, ერთმა იმ თორმეტთავანმა, რომლებიც მოსდევდნენ ინდიანას კოცონამდე გამოსაცილებლად...


მართლაც ასე მოიქცენ; მათ გააჩაღეს ცეცხლი, რომელიც მაყურებელს მართალი ეგონებოდა, ინდიანა კი გადარჩებოდა; ამ გადარჩენას მიაწერდნენ მათი ღმერთების მოწყალებას.

მტრულ ინდიანას სახეზე ნათელი გადაეკრა და გაბედულად ავიდა კოცონზე კრიშნამურტის კუბოს გვერდით.

— ო, ინდიანა! — კიდევ გაიგონა მან ხმა ხალხიდან და ამ ხმაში იცნო ინდო, რომელსაც გვერდზე მწუხარებით გატეხილი მშობელი უღვა ჯოხზე დაყრდნობილი და თვალს არ აშორებდა შვილს, ინდიანას.

— ინდო!.. მამა!.. — აღმოხდა ინდიანას და ორივე ხელი გაიწოდა მათკენ, მაგრამ წელანდელმა გამაფრთხილებელმა ახალგაზრდამ შეაჩერა:

— ინდიანა, წყნარად იყავი, იმედიანად...



პიონერების გამაფენა. ლენინის კუთხე.

6

— მე დამწვით, მე, ოლონდაც ინდიანა გადარჩეს! შეჰყვირა ინდომ, გააპო ხალხი და აიჭრა კოცონზე, გადა-  
ენგია ინდიანას, იქით დააყენა, თვითონ დადგა, მაგრამახალ-  
გაზრდამ მოჰკიდა ხელი, ჩამოიყვანა და გადაუჩურჩულა:

— შენ, პატარავ, გეტყობა, თავგანწირვა შეგიძლია და მომწონს ეგ გაბედულება, მაგრამ ხომ იცი მაგ თავ-  
ხედობისთვის ეს ჩვენი ფანატისკოსები ჩაეკოლავენ!.. ნუ  
დარდობ ინდიანაზე, ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს ის და-  
ვიხსნათ, ეს ცეცხლი ყალბია, თვალის ასახვევად.

ინდო შეჩერდა. მიხვდა. გაუღიმა ახალგაზრდას, ხალხი  
ააღელვა ამ აზრებმა, მიიწიეს, მაგრამ თორ-  
მეტმა შეთქმულმა ხანჯლები ოდნავ ამოსწია ქარქაშიდან,  
მუქარის გადახედვით შეაჩერეს ხალხი.

ინგლისელთა პოლიცია შორიანხლოს იღვა და  
გულდამშვიდებით უყურებდა ამ აშბავს.

და რა ერთმა ფანატისკოსმა შეხვდა, რომ ინდიანა არ  
იწვის, ცეცხლწყაილებული მუგუზალი შეავლო კო-  
ცონზე, სადაც შეშა და თბა ელაგა, რითაც ავარდა  
ალი, ინდიანას მარმაშა ტანსაცმელს მოედო და აინთო;  
ინდიანამ იგრძნო ტანის, სახის დაწვა, საშინელი კივილი  
აღმოხდა და გადახტა კოცონიდან, ცეცხლმოკიდებულ  
გაიქცა განგისკენ, გადავარდა; ჩაძირვა იწყო; ვერ შეამ-  
ჩნია, ინდო როგორ გადახტა მარდად, როგორ ჩაავლო  
თმაში ხელი და გაიყვანა მეორე ნაპირს...

— ინდო, საყვარელო ინდო... — და ამ სიტყვებთან ერთად  
ინდიანამ დამწვარი ხელები შემოხვია კისერზე ძმობილს...

— ინდიანა! ინდიანა!.. — ტყვილად — ლა ყვიროდა  
ინდო: ინდიანა დიდის წვალებით გარდაიცვალა...

7

დაიკარგა ინდო...  
იმისთვის მხოლოდ ერთხელ მოეკრათ თვალი  
ინდიანას საფლავზე... დაღონდა მისი მეგობარი აზიზა,  
უშედეგოდ — ლა ეძებდა მას და მარტოდ დადიოდა პლან-  
ტაციასზე...

განგის სანაპირო ტყეებში ამ ბოლო დროს ველარა-  
ვინ შევიდა, რომ იქიდან თავგატეხილი არ გამოსულიყო...

— იქ მაიმუნების ჯოგია და ხის ტოტებს და ქვებს  
ისვრიან, — სთქვა თავგატეხილმა.

მეორენი კი ამბობდნენ, იქ ვილაც ბიჭი შევნიშნეთ ხეზეო.

— მიმიღეთ იუნგად, მეზღვაურად, — უთხრა გემის უფროსს  
ერთმა ბიჭმა ამ ამბების რამდენიმე კვირის შემდეგ, ინდო-  
ეთის ზღვისნაპირა ქალაქის ნავსადგურში რომ შევიდა გემი.

— ვინა ხარ? — ჰკითხა დაცინვით უფროსმა.

— ობოლი ვარ, განგის ველიდან, — მიუგო ბიჭმა.

— გამოგვადგება... — გადაულაპარაკა უფროსმა  
თანაშემწეს და განკარგულება გასცა სამხარეულოში  
მოეთავსებინათ, მხარეულის დამხმარედ. ბიჭმა გაიგო,  
რომ ეს გემი ჰოლანდიელების იყო.

— რად დასტოვე შენი სამშობლო, რამ გაიძულა?  
— ჰკითხა ზანგმა მხარეულმა აბდულამ, რა გემმა ლუზა  
აუშვა და ზღვაში გავიდა...

— რათა და... ჩემნაირი საწყალ, ღარიბი და ობოლი ბიჭის-  
თვის აუტანელია აქ ყოფნა, ჩვენში მხოლოდ მახარაჯებს,  
ბრამინებს და ინგლისელებს შეუძლიათ კარგად ცხოვრება...

აბდულა დააფიქრა ბიჭის ასეთმა ჭკვიანურმა პასუხ-  
მა; მას მოაგონდა თავისი ქვეყანა, სუდანის, სადაც ასევე  
უსამართლობაა გამეფებული თეთრკანიანი ზატონების  
მიერ, და ხელი გაუწოდა ბიჭს.

— შენ ჩემი ძმა იქნები, — უთხრა მან.

ბედნიერად გრძნობდა ბიჭი თავს, მიუხედავად  
იმისა, რომ ბევრს ამუშავებდნენ; რამდენიმე დღის მშვირი  
მოკეთდა, დამწვენდა, მეზღვაურის ხალათი მის მზით  
დამწვარ სახეს უხდებოდა. ის იყო მარდი, ყოჩაღი,  
მაგრამ იშვიათად რომ სახეზე ღიმილი ათამაშებოდა, ის  
მუდამ დაღონებული იყო და აბდულას თუ გადაუშლი-  
და ხოლმე გულს, თორემ ისე არავისთან ამბობდა, ვინ იყო.

— დიად, აბდულ, მე მინდა იმ ქვეყანაში მოვხვდე,  
აი ჩრდილოეთის მხარეში რომ ყოფილა, სადაც მახარა-  
ჯები, ბრამინები და ინგლისელები კი არ პარპაშებენ,  
არამო მუშუბი და გოეხბო... მი რომ პლანტაციასზე  
გმუშაობდი, იქ ძია ნიაბეი მეტყოდა ხოლმე, რომ ასეთი  
ქვეყანა არია. იქ თურმე ჩემნაირი ბიჭები პიონერები  
არიან, — ეტყოდა ხოლმე ბიჭი აბდულას.

ეს იყო ინდო, რომლის გონების თვალსაც არ  
შორდებოდა საცოდავად დამწვარი ინდიანას სახე და  
მისი საფლავი, რომელიც წამოსვლის დროს ყველებით  
მორთო, და თუ ენანებოდა თავისი ქვეყნის დატოვება,  
იმიტომ, რომ ინდიანას საფლავს ველარ იხილავდა და  
ფანატისკოსებს ქვებით თავს ველარ გაუტეხდა.

— მე დავბრუნდები, ინდოეთო, ბრძოლას რომ  
ვისწავლი და მაშინ ვაი მათ, ვინც ასე გჩაგრაქს! —  
გადასახა მან ინდოეთის ნაპირებს გემის ბაქანიდან

ს. ერთაწმინდელი.



მოთხრობა

იშვიათი მზიანი დილა გათენდა. გრილი მაცოცხლებელი სიო მდორედ ავარდა. ქაჩორგადაკრეჭილ ვაზებზე მწიფე მტევნებმა სიცილი დაიწყეს. ცის ტატნობს ირგვლივ ცეცხლი წაეკიდა. ინვალიდ იასეს ვენახს ჟრიაშულით შეესია ქალებისა და ბავშვების ლაშქარი. კალათები ამოძრავდა. დანები ალაპლაპდა შაბიამნით შეღებილ ფოთლებში. გულდასაღვეი სიჩუმე შორეულს ნისლეებში გადაიკარგა. გოდრებით დატვირთული ურემი ვენახის თავში გაჩერდა. საქონელი გამოაუშვეს. ქოხის წინ კვამლი ავარდა. აშიშინდა ქვაბი.

მსოფლიო ომში თითებდაკეპილი იასე ჯალაბობას თავს დასტრიალებს ხალისიანად. ბილიკზე საესე კალათებით გამოჩნდნენ ბავშვები. იასემ ვაზებს ნამხრევი გააცალა და გოდრებს ჩაუფინა. მწიფე ყურძენი ერთ წუთში მოექცა გოდრების გამობერილ მუცლებში.

— საფერავი ცალკე დაკრიფეთ! — გაიცა ბრძანება.

— კარგი!

ბავშვები თავპირის მტვრევით დაბრუნდნენ უკან. დიდი, მოწითალო ქოთაკი ურემ-ქვეშ გაგორდა და ნებიერად დახუტა თვალები.

— ლაღო! — დაუძახა მამამ შვილს.

ვაზებთან მოხდენილი ბიჭი გადმოხტა.

— შვილო! შენი დიდყურა მოწყენილია, გაიყვა ველზე საძოვრად!..

— შესმის, მამა!

— თვალი გეჭიროს! არ დაკარგო!

ლაღომ იწყინა. აბა, რა საფიქრელია, მან მათი მაცხოვრებელი ვირი დაკარგოს! ფიხნი, შეშა, საფქვავე და რამდენი რამ კეთდება მისი მეოხებით! მსხვილფეხა საქონელი არა ჰყავთ. ან ვინ მისცემს ლარბებს! — გაიფიქრა ლაღომ და მამას უბასუხა:

— აი, ნახე: ვიმუშავებ კიდევ და თვალსაც დაგვიკერი!

— შენ იცი, ჩემო ვაჟაკო!..

მცირე ხნის შემდეგ ლევა ვირმა ქორთა ბალახზე გაიკუნტრუნა. ლაღო სირბილით დაბრუნდა ვენახს.

ეშმაკმა დასწყევლოს სიღარიბე! ორ კვირაზე მეტია პიონერებში ჩაეწერა და ჯერაც ვერ შეუყვარია ლურჯი შალვარი, თეთრი ხალათი და წითელი ბანტი. ო, მერე როგორ სწყურია ლაღოს ასე მორთვა! ნეტავი ელისება ამას!? მამა დჰპირდა: „რთველს შემდეგ გიყიდი!“. ესეც რთველი! მერე რა მოსავალია! ნა დვილად ჩაიცვამს ახალ ტანსაცმელს. ამაზე მეტი ბედნიერება შეიძლება?!

ლაღო მუშაობას შეუდგა. სხვა ბავშვები აკიდოებს სკრიან, მახლობელ მდინარეში თევზაობენ და თამაშობენ, ის კი შრომობს, დაუსვენებლივ შრომობს! ღრმად სწამს, რომ შრომა ჰქმნის სიმდიდრეს. თამაშობა ასეთ დროს ცუდლუტებს უყვართ! მერე მამაც რომ შრომის უნარს მოკლებული ჰყავს!? აი, გაიზრდება ლაღო და ტანჯვას შეუმსუბუქებს.

მთელი დღე შეუსვენებლივ ჰკრეფდნენ ყურძენს. გოდრები გაივსო. მზე უზარმაზარ მთების ხახაში ჩაესვენა. მადლიანი ვაზები კიდევ დარჩა დასაკრეფი.

— ეს ხვალ დაკრიფოთ. ვივანშმოთ! — გასცა იასემ განკარგულება. ყველანი ურმის გვერდზე გაშლილ ლურჯ სუფრას შემოაუსხდნენ. მეურმემ საქონელი მორეკა. ივანშმეს. ცუდლუტი ბავშვები ურემზე შეხტნენ, წასასვლელად მოემზადნენ. იასემ თვალი გადაავლო ჯალაბობას და გაშტერდა:

— ბიჭი სად არის!? — იკითხა მან და ხმამაღლა დაუძახა:

— ლაღოოო!.. — პასუხი არ მოისმა.

— ლაღო, ჰაი, ლაღოო!.. დაიწყო დაუსრულებელი ყვირილი დიდ-პატარამ.

— ჰაუუუუ!.. — შორიდან გაიგონეს. ყველას გულზე მოეშვა. დაუცადეს. ეკლიან ჯაგებში ცქვიცად მავალი ბიჭი გამოჩნდა. ერთიანად ოფლში გაწუწულიყო.



— სად იყავ, შეილო! — ჰკითხა დედამ.  
 — ვირი დაიკარგა!  
 — ვირი? ხომ გაგაფრთხილე დილასვე?  
 ლადოს შერცხვა და ტუჩები დაიკვნითა.  
 — მე რა ვუყო... წყალზე წაველი და...—სთქვა

მან თრთოლივით.

— ეს ბიჭი არა ტყუის, წყლამდე ვერსნახევარი გზა არის! — დაექომაგა მეურმე.

— ხად იქნება ნეტავ!  
 — ჭლაში! სხვაგან სად?

ლადომ ყურები ცქვიტა, წამსვე მიტრიალდა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა. დედა თან დაედევნა.

— შეილო, სად მ-ხვალ, დალამდა! ჩვენ შინ მივდივართ!.. წამოდი, ბაბო შეულოცავს და ნადირს პირი შეეკვრება!

ლადო შეჩერდა. მის ტუჩებზე დაცინვა აღიბეჭდა.

— ლოცვა არა, ეშმაკი! მოგცლიათ, რალა! — სთქვა მან გაჯავრებით და წასასვლოელად მოემზადა.

— ნუ წახვალ, შეილო, ნუ! ბნელა, ისევ ხვალ მონახე!

მოხუცებულმა დედაკაცმა ჯიბიდან დანა ამოიღო. დველფში ნახშირი იპოვნა და იქვე ჩაიმუხლა. ლადომ ბებრის ჩიფჩიფში ლოცვას მოჰკრა ყური:

„ეკენია — ბეკენია,  
 ეკენს ხატი ასვენია;  
 ღმერთო, ღმერთო, ჩამოყარე  
 ცხრა კლიტე — კლიტოსანია!“

ღმერთო! მიეც მგლებსა:  
 ნაბდის ენა, სანთლის კბილი,  
 საცრის თვალი უხედველი!  
 ღმერთო! შენ შეჰკარ, შებოჰკე  
 მგლის პირი, მეკომურის ხელი!..  
 ღმერთო! შენ დაწერე  
 შენი წყალობის პირჯვარი...“

ლოცვა სამჯერ სთქვა დედაბებრმა და ფეხზე წამოდგა.

— აი, შეილო, დანა! ამაღამ არ გახსნა და შიში ნუ გაქვს!!!

ლადომ ზიზლით გადახედა.

— ფუ! რას არ მოიგონებენ! შენ აქ იდუღუნე, იქ მგლებს გულები დაუსკდათ! პოვნის მეტი ვირს არაფერი გადაარჩენს, არა! უნდა ვეძებო ამაღამ, მორჩა და გათავდა! — სთქვა მან მტკიცედ.


უშალეს, არ გადათქვა. დედა შიშისაგან ატირდა.

— ყურშა, წამო! — დაუძახა ლადომ ძაღლს და მამაცად გადახტა ლობეზე. მსხვილთავა კომბალი მხარზე გადაიღო. კაპასი ქოფაკი გაიზმორა და ხტუნვით დაედევნა მას. მცირე ხნის შემდეგ პატარა ბიჭი ლამის ბინდში ლანდივით ჩაიკარგა.

— ყოჩალი ბიჭი მყავს! — ამაყად წაიღულუნა მამამ. ურემი ლაფიან გზაზე აჭრიტინდა.

(გაგრძელება შემდეგ)

ს. მთვარაძე.



ბიონერები სასარატო დაზგებთან ლენინის სახელობის სკოლაში



# პიონერი ოჯახში.

ყოველი პიონერი რაზმიდან ოჯახში მოდის, ამდენიც გინდა იმუშაოს რაზმში, ყოველ პიონერს ბინაზე უხდება დაბრუნება, სადაც მისი მშობლები და დაძმები ცხოვრობენ. ოჯახის გარდა პიონერს არსად არ შეუძლია ცხოვრება. ხომ არ წავა და ხილის ქვეშ ან ნაგვის ყუთთან არ გაათევს ლამეს.

უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ პიონერებს ოჯახთან უთანხმოება აქვთ ხოლმე. ამის შესახებ არა ერთხელ წერდნენ თვითონ პიონერები თავის ყურნალ-გაზეთებში. ხშირად, როდესაც პიონერი მოდის ოჯახში, დედა დაუწყებს მას ლაპარაკს, რატომ დადიხარ კოლექტივში, იქ მხოლოდ უღმერთობას გასწავლიან, მარტო ფეხსაცმელს ჰგლეჯო.

ხშირად ხდება, რომ წალაპარაკება სხვა ხასიათს იღებს: გაჯავრებული დედა-მამა პიონერს გალსტუკს მოაგლეჯს ხოლმე, და პიონერს რომ გალსტუკი მოაგლეჯო, ეს ხომ მისთვის სამარცხვინო საქმეა. უგალსტუკო, აბა, მითხარი, რა პიონერი ხარ? არავინ არ ჩავთვლის პიონერად! არის შემთხვევები, როდესაც ტყუილა-უბრალოდ პიონერის თვალ წინ მის გალსტუკს ბუხარში სწვავენ.

ოჯახი რომ ასე არათანაგრობით ექცევა პიონერს, ეს იმის ბრალია, რომ მშობლები თითქმის გაურკვეველნი არიან პიონერის საქმიანობაში. თვითონ პიონერებიც ხშირად ოჯახში ცუდი მაგალითის მაჩვენებელნი არიან, ზოგიერთი პიონერი ფიქრობს, რომ ოჯახში დაბრუნებისას მან არაფერი არ უნდა გააკეთოს.

ხშირია ასეთი ლაპარაკიც:

- რატომ არ იყავი შეკრებაზე?
- არ შემეძლო სახლის დატოვება.
- მაშასადამე, ფეხებზე გკიღია შეკრება... სირცხვილია!.. მიაფურთხე სახლს, მამას, დედას და გაიქეცი შეკრებაზე.

ასეთ ლაპარაკსაც აქვს ხოლმე ადგილი: „ჩვენ ვმუშაობთ კოლექტივებში, მხოლოდ რგოლებში ვცხოვრობთ და ვსუნთქავთ, ამიტომ ოჯახში არაფერს არ ვგაკეთებთ“.

მაშინ, როდესაც დედა ციბრუტივით ტრიალებს ოჯახში: სარეცხს რეცხავს, ოთახებს ალაგებს, სადილს ამზადებს, პატარა ბავში მოვლას საქიროებს, კლუბში კი საინტერესო ლექციაა, ქალების კრება, დედას უნდა დაესწროს ამ კრებას, მაგრამ ოჯახის საქმეები არ უშვებენ მას და ასე დიდიდან შუალამემდე მიკრულია ოჯახის საქმეებს, — პიონერი ხშირად ამას ყურადღებას არ აქცევს, ავიწყდება, რომ დედაც ცოცხალი ადამიანია, ისიც შილტვის სინათლისა და ცოდნისა. უნდა იცოდეს ყვე-

ლაფერი, იცოდეს, თუ ქვეყანაზე ხალხი როგორ ცხოვრობს.

პიონერი რომ დედას დაეხმაროს რამეში და შრომა შეუმსუბუქოს, მაშინ დედა კრებაზე წასვლას მოახერხებს, ეს კი სასარგებლო იქნება დედისთვისაც და პიონერისათვისაც, ვინაიდან დედა უკეთესად მოეპყრობა პიონერ შვილს.

**უნდა დატოვოს თუ არა პიონერმა ოჯახი?**

გვიამბობენ, რომ ერთი პიონერი ოჯახში მოსვლისას ყოველთვის ეჩხუბებოდა დედას იმის გამო, რომ დედა სთხოვდა მას დახმარებოდა საოჯახო საქმეებში. პიონერმა ამაზე ბევრი აღარ იფიქრა და ოჯახი დატოვა. ყირიმში გაემგზავრა. როგორც იქნა, ყირიმამდე მიღწია, აქ ციებით გახდა ავად. ყურს არავინ არ უვდებდა, იწვა ასე მარტოკა და ტიროდა: „დედილო, რომ იცოდე, როგორ მდგომარეობაში ვარ“...

ბევრ პიონერს თავში ასეთი აზრი უტრიალებს: **პიონერი ოჯახში უნდა დარჩეს თუ არა?** უკეთესი არაა, რომ სრულებით დატოვო ოჯახი და მოშორდე დედა-მამას? მერე რატომ? იმიტომ რომ ოჯახში ცხოვრების მძიმე პირობებია, იმიტომ რომ ყოველთვის არ ესმით მშობლებს პიონერული მუშაობა.

**სად შეუძლია წასვლა პიონერს, ოჯახი რომ დატოვოს? არსად, და არც უნდა წავიდეს.** საბავშვო სახლი ჩვენში ცოტაა, ბავშვები კი მათში ძალზე ბევრია. პიონერების კომუნებს, რომელშიც მარტო პიონერები ცხოვრობენ, დღეს ბევრს ვერ შეეკმნით. რატომ? იმიტომ რომ ჩვენი სახელმწიფო შედარებით ღარიბია.

მაშ როგორ მოვიქცეთ? მოვიდეთ ოჯახში და ხმამაღულდებლივ ყური ვუგდოთ, თუ როგორ ვაგინებენ და ცემას გემუქრებიან.

ჩვენ გვგონია, უკეთესი იქნება კი არ გაიქცეს პიონერი სახლიდან, არამედ იმუშაოს ოჯახშიც და აწარმოოს ბრძოლა ახალი ცხოვრებისათვის. ბოლოსა და ბოლოს ოჯახი აცმევს და ჰკვებს პიონერს. რაგინდ ცუდად ექცოდნენ მშობლები პიონერს, მშობლები მაინც იმაზე ზრუნავენ.

გარდა ამისა, ოჯახის მთელი ცხოვრება და მისი ცუდი მხარეები — მამის ლოთობა, ქუჩუკი ოჯახში, ყოველთვის წვრილმანი საქმეებით დატვირთული დედა, ყველა ეს — „ბნელი კუთხეა“. ამ კუთხეში ცხოვრობს პიონერი. პიონერი კი მოვალეა ყველგან შეიტანოს სინათლე, ცოდნა, იყოს ახალი ცხოვრების მაგალითი!..



თვითმფრინავის მოდელს ამაგრებენ პიონერთა კლუბში.

მაშ ასე: პიონერი არ უნდა გაუბრძოდეს ოჯახს, პიონერმა ოჯახი კი არ უნდა დატოვოს, არამედ იქ პიონერული მუშაობა უნდა გააჩალოს.

**როგორ უნდა და როგორ არ უნდა ოჯახში მუშაობის დაწყება.**

ერთმა პიონერმა, როდესაც კოლექტივში გაიგო, რომ პიონერმა უნდა იმუშაოს ოჯახში, ბევრი არ იფიქრა, მოვიდა ოჯახში და განაცხადა: „დედა, ჩვენი კოლექტივში მიგვიითეთს ოჯახში მუშაობის საჭიროებაზე. გამიშვი, ავძვრები კუთხეში და ხატს ქუჩაში გადავუძახებ.“

დედამ თავლები გადმოკურთხალა, სტაცა ხელი ქუჩიან ჩეარს და პიონერს ცემა დაუწყაო.

თუ პიონერებმა მტკიცედ გადაწყვიტეს ოჯახში მუშაობის ჩატარება, უნდა დაიწყონ ის ხმაურობის და ყვირილის გარეშე, აქ ყოყლოჩინობით ვერაფერს გააკეთებ. ყოველმა პიონერმა უნდა შეიგნოს, რომ ოჯახში ის ცხოვრობს არა ერთი დღე, არამედ რამდენიმე წელი და მუშაობაც უნდა ვაითვალისწინოს არა ერთი დღისათვის, არამედ მთელი რიგი წლებისათვის, დიდი ხნით.

ყოველმა პიონერმა, ვიდრე ოჯახში მუშაობას დაიწყებდეს, უპირველეს ყოვლისა რგოლში უნდა გაიგოს, სხვა ოჯახებში როგორ ეპყრობიან მშობ-

ლები პიონერებს, რგოლში უნდა შეუთანხმდეს მათ შეგებს იმის შესახებ, თუ საიდან და როგორ დაიწყოს ოჯახში მუშაობა. საჭიროა, რომ რგოლის შემდეგ კოლექტივის საბჭოშიც ითათბიროს პიონერების ოჯახში მუშაობის სათანადოდ ჩატარებაზე. თუ ასე არ მოემზადებით, მუშაობა ძალზე გაგიძნელებათ.

ოჯახში მუშაობა უნდა ჩატარდეს მთელი რაზმის საერთო ძალ-ღონით. ერთი პიონერი აქ უძლურია. უნდა დავაინტერესოთ ოჯახში მუშაობით დანარჩენი შეუკავშირებელი ბავშებიც, რომლებთანაც პიონერები მეგობრობენ (სახლში, ეზოში).

ვთქვათ, პიონერებმა გადაწყვიტეს, რომ სახლის გვერდით საჭიროა სუფთა ბილიკის გაყვანა. ამ საქმეში აუცილებლად უნდა ჩააბან ის ბავშებიც, რომელნიც ამ სახლში ან ეზოში ცხოვრობენ. თუ პიონერი ერთი მოეკიდება ამ საქმეს, მას თითქმის არაფერი გამოუვა და მეტჩირადაც ჩასთვლიან.

საჭიროა ყოველგვარი მუშაობა ოჯახში საერთო ძალ-ღონით იქნეს დაწყებული. შეეცადეთ რაც შეიძლება ბევრი ბავშვი ჩააბათ ამ მუშაობაში.

**პიონერი ოჯახში დედას ცხოვრებას უმსუბუქებს.**

ოჯახში მუშაობის დაწყება საჭიროა დედის და მთელი ოჯახის დახმარებით.

ავიღოთ, მაგალითად, ასეთი პატარა საქმე: შეშის მოტანა, საქმლის დამზადებაში, ტანისამოსის დაკერებაში დედისთვის დახმარების გაწევა, ყველა ეს ხომ წვრილმანი, პატარა საქმეებია, მაგრამ უნდა შევიგნოთ, რომ საქმე ის არაა, რომ შეშა მოიტანო, არამედ ის, რომ შეგედლოს ყოველთვის თავის დროზე დაეხმარო დედას, დროზე შეუმსუბუქო შრომა, დროზე მისცე დედას შესაძლებლობა წავიდეს კრებაზე, კლუბში.

პიონერი უნდა მოუწოდებდეს თავის მშობლებს დაეხმარონ საზოგადოებრივი სასაძილოების, საზოგადოებრივი სამხარეულოების, სამრეცხაოების მოწყობას. მაშინ უფრო თავისუფლად იცხოვრებს პიონერიც და დედაც ოჯახში.

პიონერები ყოველ ოჯახში უნდა იბრძოდნენ ქუჩის, ბაღლინჯოების და ხოკოების წინააღმდეგ. თითქმის ყოველ ბინაში ბაღლინჯოები, ხოკოები და სხვა წვრილი პარაზიტები დაცოცავენ კედლებზე. ყველა პიონერმა კი იცის, რომ ბაღლინჯოების და ბუზების საშუალებით ათასგვარი ავადმყოფობა ვრცელდება.

ერთხელ ერთმა რაზმმა თავის შეკრებაზე ექიმი მოიწვია იმისათვის, რომ ექიმს ეამბნა, თუ როგორ უნდა ოთახებში ბუზების და სხვა მავნე მწერების მოსპობა. ექიმმა მისცა ბავშებს კარგი რჩევა. ბავშებმა აფთიაქში წამალი იყიდეს და ორ დღეში

მოსტეს თავის ოთახებში სხვადასხვა მწერები. მშობლები ძალზე კმაყოფილი იყვნენ პიონერების ასეთი სასარგებლო მუშაობით.

ყოველი პიონერი უნდა ცდილობდეს დროზე ოჯახებდეს, თუ როგორი, როდის და სად იმართება კრებები, ლექციები, დროზე უნდა მოაგონოს ამის შესახებ მშობლებს. კარგია აგრეთვე მოუტანო დედას ბილეთი კლუბში საღამოზე დასასწრებლად და სხვა.

**პიონერს ოჯახი სინათლისაკენ მიჰყავს.**

განსაკუთრებით დიდი მუშაობა უნდა ჩატარონ პიონერებმა ოჯახში, რომ ოჯახში არ იყოს წერა-კითხვის არც ერთი უცოდინარი. ჩვენში, საბჭოთა საქართველოში, დღეს საკმაოდაა წერა-კითხვის უცოდინარნი. რამდენადაც ბევრნი არიან უცოდინარნი, იმდენად ძნელია ახალი ცხოვრების შექმნა. წერა-კითხვის უცოდინარი ხშირდბრმაზე უარესია. თუ პიონერმა იცის, რომ ოჯახში უფროსი ძმან დედა უცოდინარი ჰყავს, მან უნდა გაიგოს, სადაა მოზრდილთათვის წერა-კითხვის შესწავლის სკოლა. პიონერმა უნდა აიძულოს ძმა, დედა ჩაეწერონ ამ სკოლაში და შემდეგ გაუცდენლად იარონ.

პიონერი უნდა ცდილობდეს ბიბლიოთეკიდან ახალი წიგნების მოტანას, უნდა უჩვენებდეს ოჯახს, თუ სად არის უახლოესი სამკითხველო, თუ როგორი საინტერესო წიგნებია იქ და ურჩევდეს კითხვას.

ზოგიერთ ოჯახში ხანდახან ტარდება ეგრეთწოდებული „ოჯახური საღამოები“. ჩვეულებრივ, ესწრებიან ამ საღამოებს პიონერები და არაერთარ მონაწილეობას არ იღებენ (მამები და სტუმრები ღვინით იბერებიან, ღორმუცლობენ და სხვ.), მაშინ, როდესაც აქ შეიძლება რაიმეს გაკეთება. მართალია, ზოგიერთი პიონერები ესწრებიან ასეთ საღამოებს, მღერიან თავის პიონერულ სიმღერებს. ატარებენ თამაშობებს და ცდილობენ „ღვინის საღამო“ პიონერულ საღამოდ გადააქციონ, მაგრამ ეს გამონაკლისია. აუცილებელია ამ საღამოების გამასიურება და გაღრმავება.

**მოუარეთ პატარა და-ძმას.**

ოჯახში დიდი მუშაობის ჩატარება შეუძლიათ პიონერებს უმცროს ბავშვებთან. ავიღოთ თუნდაც ასეთი მაგალითი: ხშირია, როცა ოჯახში მამა სვამს ღვინოს და აწოდებს აგრეთვე თავის 4-5 წლის ბავშს. „დალიე, შვილო, არა უშავს, სისხლად გადაგქცევა“. პიონერმა არ უნდა დაუშვას, რომ მისი ძმა ღვინოს შეაჩვიოს. პიონერმა უნდა მიუთითოს მშობლებს, რომ თუ პატარას დააღვინებთ ღვინოს, ეს მას ავნებს.

ხედავს პიონერი, რომ მისი პატარა და-ძმა ქუჩიან იატაკზე ზის. მან უნდა დაბანოს ისინი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პატარები სადილს უნდა მიუსხდნენ. უნდა დაბანოთ ხელები, სახე—იმიტომ რომ, თუ გაუბანელნი დასხდებიან სადილად, ამით ისინი შესაძლებელია ავად გახდნენ.

ყოველი პიონერი მოვალეა თავისი პატარა ძმა ან და ჩააბას ოქტომბრელთა ჯგუფში.

**ჩატარეთ მშობელთა კრებები.**

ატარებს რა ოჯახში მუშაობას, დროგამოშვებით პიონერკოლექტივი მშობელთა კრებებს უნდა იწვევდეს. ჩვენი მშობლების უმრავლესობა შეუუგებელია, კრებაზე მათი მოყვანა ძალზე ძნელია.

უნდა განუმარტოთ მათ, რისთვის არიან ისინი საჭირო, როგორია მათი მნიშვნელობა, ხშირად უნდა ესაუბრებოდეთ, გაზეთებს უკითხავდეთ. ყოველმა შეგნებულმა პიონერმა უნდა მოახერხოს, რომ მისი მშობლები კოლექტივის ცხოვრებით, მისი მიღწევებით ინტერესდებოდნენ და დადიოდნენ მშობელთა კრებებზე.

მხოლოდ საჭირო არაა ეს კრებები უსარგებლო მიტინგებად გადავაქციოთ. მშობლების ერთ კრებაზე ერთხელ გამოვიდა პიონერი და საათნახვარს ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ: „ჩვენ თქვენი შემცვლელები ვართ, თქვენ, ძვირფასო მშობლებო, დაიღალეთ პროლეტარიატის საქმისათვის ბრძოლაში “და სხვ. ასე არ ვარგა.

მშობელთა კრებები საქმიანად უნდა ჩატარდეს: დაისვას საკითხი კოლექტივის ცხოვრების შესახებ, იმის შესახებ, თუ რა უნდა ისწავლონ პიონერებმა კოლექტივში, რა აკლიათ მათ და სხვა, რომ მშობლები დაეხმარონ.

აი, მაგალითად, რას გვწერს ერთი პიონერი: „ჩვენში შესდგა მშობელთა პირველი კრება. კამათში ბევრმა მშობელმა და ბავშმა მიიღო მონაწილეობა, დავადგინეთ დავუკავშირდეთ წარმოებას და ვთხოვოთ მოგვიწყონ ხელსაქმის სახელოსნოები; აღნიშნულ იქნა მოწაფე პიონერების სწავლაში ჩამორჩენა და სუსტი დისციპლინა გასულ წელს. ახალ სასწავლო წელს გადავწყვიტეთ აქტიურად შევებრძოლოთ ამ უარყოფით მხარეებს.“

**ყველამ ვიბრძოლოთ ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის!**

აი თითქმის ყველაფერი, რაც უნდა გააკეთოს პიონერმა ოჯახში და მშობელთა კრებებზე. როცა პიონერები შეუდგებიან მუშაობას, თვითონვე დაინახვენ ბევრ სხვადასხვა სამუშაოს. მთავარია მუშაობის დაწყება. საკმარისია სწორედ დაყენებულ იქნეს ეს საქმე, და ყველაფერი გაკეთდება.

ოჯახში მუშაობას სრულებით არ უნდა გაექცე, ოჯახი არ უნდა დატოვო, საჭიროა ოჯახში პიონერული მუშაობის გაჩაღება, რომ ამით ოჯახში შეებრძოლო იმ ცუდ მხარეებს, რომლების შესახებ ზემოთ ვთქვამდით.

# საბჭოთა კავშირის შორეულ კუთხეში

საბჭოთა კავშირის შორეულ კუთხეში

საბჭოთა კავშირის შორეულ განაპირა კუთხეში, იქ, სადაც ბერინგის ზღვა მოაგორებს თავის ცივ ტალღებს, რომელშიც მუდამ ცურავენ ყინულოვანი ოკეანიდან დიდრონი ყინულის მთები, — არის ერთი საკმაოდ მოზრდილი ნახევარკუნძული — კამჩატკა. იქ თოვლი თითქმის იენისამდე დევს და აგვისტოდან იწყება ზამთარი. ამ უზარმაზარი სივრცის ველურ ადგილებში უამრავი ნადირი ცხოვრობს და ძლიერ ცოტა ადამიანები, — ესენი არიან კორიაკები; კორიაკები ზედმიწევნით ჩამორჩენილი არიან, პირველყოფილი ადამიანების ცხოვრების მსგავსია მათი ცხოვრება, მაგრამ ახლა იქ საბჭოთა ხელისუფლება და ამიტომ მიღებულია ზომები მათი ცხოვრების გასაუმჯობესებლად, გახსნილია საბჭოთა სკოლა, გაგზავნილი არიან საბჭოთა მასწავლებლები.

მეტად საინტერესოა ერთ-ერთი ასეთი მასწავლებლის წერილი ამ შორეული ტუნდრიდან.

— ჯერ კიდევ პატარაობიდანვე ვიცოდი, — წერს ის, — რომ სადაც ყინულოვანი ზღვების ახლოს იყო ასეთი ქვეყანა, მაგრამ ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, თუ იქ მომიხდებოდა ცხოვრება.

1927 წლიდან მე დამნიშნეს კორიაკების სკოლის მასწავლებლად.

ერთი კვირის განმავლობაში მივედიოდით ძაღლებით, მხლებლად მახლდა გაიძვერა მოხუცი ონტო. მივედიოდით ისე, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში გზაში არ გვხდებოდა არცერთი ადამიანი. დამეს ტუნდრაში ვათევედით, თოვლზე.

კიჩიგაში მერვე დღეს მივედი, სწორედ იმ დროს, როცა სასტიკი ქარბუქი იყო. ქარბუქში ვერ მივაგენით სოფელს, სანამ შემთხვევით არ წავაწყდით ერთ სადგომ სახლს. კორიაკები მეტ წილად მიწურ სახლებში ცხოვრობენ, სადაც ჩასასვლელი ადგილი ერთ ადამიანზე დროს ფანრის, საკვამლის და კარის დანიშნულებას ასრულებს.

კიჩიგაში სწორედ ასეთი სახლებია. თვითონ კიჩიგა დიდი სოფელია, სადაც ცხოვრობენ შეთევზე-მონადირე კორიაკები. ექვნი მუდამ აქ ცხოვრობენ, თორემ არიან ისეთი ოჯახებიც, რომლებიც მოხეტიალობენ ტუნდრაში. ისინი მისდევენ მესაქონლეობას, ჰყავთ რამდენიმე ასი ირემი და სხვა, ირემი მათ აძლევს ტყავეულობას, ხორცს და სხვა. კორიაკები ხშირად ამბობენ: „ჩვენი საქმელი ჩვენს ირგვლივ დაიარება“.

ბინადარი კორიაკები უფრო ცუდად ცხოვრობენ. მათი ცხოვრება დამოკიდებულია კარგ ნადირობაზე და თევზაობაზე; ამიტომ იქ ხშირია სიმშინი. კიჩიგის სოფელში არის ერთი საბჭოთა სკოლა, რომელიც უკვე წელია რაც არსებობს; წინათაც იყო იქ სკოლა, მაგრამ მას ხელმძღვანელობდა მღვდელი, და ეს სკოლა არაფრით არ ჰკავდა სკოლას;



ტუნგუსი ბავში

კიჩიგის ეხლანდელი სკოლა ყოფილ ეკლესიაშია მოთავსებული.

მივედით თუ არა იქ, დავბინავდი ერთი კორიაკის ოჯახში, სახლის უფროსს ახალა ერქვა. ის ერთადერთი კაცი იყო, რომელმაც წერა-კითხვა იცოდა და ამასთანავე რუსულად ლაპარაკობდა. ტანთ ეცვა იაპონიური ხალათი. მე ვკითხე სკოლის შესახებ, და მან მიპასუხა, რომ სკოლაში დიდი სიცივეა, რომ სკოლა არაა კარგად მოწყობილი, მაგრამ ამასთანავე დაუმტა, ჩვენს ბავშვებს სწავლა ძალიან წყურიათო. იმ დღეს ვერ ვნახე სკოლა, რადგან გარეთ სასტიკი ქარბუქი იყო.

მეორე დღეს მივედი სკოლაში; მოწაფეები უკვე მიციდიდნენ, სულ 14 ბავში. მათვალიერებდნენ ლდი ცნობისმოყვარეობით, დიდი ინტერესით მივდებდნენ ყურს. განსაკუთრებით შეუყვარდათ ბავშვებს გეოგრაფიის გაკვეთილი; ჩვეულებრივ ეს გაკვეთილი ყოველთვის ბოლოს იყო, პირველად ვიწყებდი წერას ან კითხვას; როცა ვარჩევდით მოთხრობას ქალაქის შესახებ, ისინი მეკითხებოდნენ „როგორ შეიძლება, მასწავლებლო, ქალაქში ცხოვრება, ძროხამ სად უნდა ძოვოს ბალახი?“ მე ვუხსნიდი ქალაქური ცხოვრების ამბავს, მაგრამ მისი წა-მოდგენა უძნელდებოდათ, ხშირად არ სჯეროდათ და ამბობდნენ, რა კარგი ზღაპარიოა.

გაკვეთილის გათავების შემდეგ ბავშვები ყოველთვის გარეთ გამოვბინავდი, იწყებენ თავის საყვარელ თამაშობას — ჭილაობას. მიუხედავად სიცივისა და თოვლისა, ისინი თითქმის ნახევრად შიშველი ჭილაობენ, ფელობიან თოვლში, იცინიან.

მძიმეა ამ სკოლაში მუშაობა, სადაც სიცივეა, სიბნელება, სადაც ხშირად არაა ქალაქი და სამეღნეში იყინება მელანი, მაგრამ საინტერესოა მუშაობა იმ ბავშვებთან, რომელთაც მართლაც წყურიათ სწავლა.

# ავრიკოს ტუაგსა და ველაგში

## (გაგრძელება)

პირველად, გაუფრთხილებლობის გამო, რამდენიმე ტკიპა ხელით მოვიგლიჯე კანიდან. მაგრამ მათი პატარა ხორთუმები ჩარჩა ხორცში და მაწამებდა. მე ვცადე აბაზანების მიღება სულემით, რომ ჩემი მტანჯველებისაგან თავი დამეხსნა. მაგრამ ამაოდ! ერთადერთ საშვალებად აღმოჩნდა შემდეგი: ბანაკში დაბრუნების შემდეგ რომელიმე ჩემი შავკანიანი თანამგზავრი ნახეუარ საათს მათვალისწინებდა ხოლმე.

ასე გადიოდა დღეები და უძილო, მტანჯველი ღამეები. კამეჩები ისევესე მიუწვდომელი რჩებოდნენ ჩემთვის. ერთადერთი დრო, როდესაც შესაძლებელი იყო მათი დანახვა, იყო გარაჟრაჟი, როდესაც ისინი თავის თავშესაფარში ბრუნდებოდნენ. ჩვენც მხედველობაში უნდა მიგვედო ამ ცხოველების უდიდესი სიფრთხი-

მგზავრმა მაცნობა, რომ 30-მდე კამეჩის ჯოგი ენახათ. კამეჩებს გაველოთ ბანაკის მახლო და თავი შეეფარებინათ პატარა ჭაობში. ორი საათის შემდეგ ვესტუმრე ნაჩვენებ ადგილს. ძლიერი ქარი ქროდა. მე ვცადე ჯოგს მივხლოვობოდი, მაგრამ ამაოდ. ჩავეფლე წელამდე ჭაობში, მყრალ, წებოიან და ტალახიან ლექში. ვცდილობდი ფრთხილად გამეგლო ლერწმების მთელი ზღვა. მაგრამ ლერწამი ისეთი ხშირი, მაღალი და გაუვალი იყო, რომ ყოველად შეუძლებელი შეიქნა კამეჩებთან მიახლოვება. დავიწყე გარშემო თვალისწინება, რომ მომექებნა ერთი რომელიმე ხე; მართლაც, ბოლოს შევამჩნიე საკმაოდ მაღალი აკაცია. დაუყოვნებლივ გავემართე იქითკენ და ჩქარა აკაციის კენწეროზე ვიყავი წამომჯდარი. იქიდან მოვანახე ადგილი, სადაც კამეჩები მოკროვილიყვნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ცხოველებს



პოინერები აგროვებენ ნამტვრევ რკინეულობას

ლე. კამეჩებს, ეტყობოდათ, ეწვნიათ ევროპელების ტყვიებისა და ადგილობრივ მცხოვრებთა მოწამლული ისრების სიმწარე.

დღეები დღეებს მისდევდნენ. კუნძულზე საშვალება მომეცა თვალყური მედვენებინა ნიანგების ცხოვრებისათვის. ახალგაზრდა ნიანგები ძალიან მშისარები არიან და დიდ სიფრთხილეს იჩენენ. მათ უყვარდათ მდინარის ზედაპირის ახლოს ჩამოწეულ ტოტებზე გასვლა, მაგრამ შეამჩნევდნენ თუ არა ადამიანის მოახლოვებას, სწრაფად ხტებოდნენ წყალში. რაც უფრო შედიან ასაკში ნიანგები მით უმეტეს მშისარები და ფრთხილები ხდებიან. მოზრდილი ნიანგები ღრმა ადგილებში არიან დამალული და იქიდან მოულოდნელად ესხმიან თავს მსხვერპლს, თვითონ კი სრულ უშიშროებაში იმყოფებიან.

დრო გადიოდა. მე უკვე ვკარგავდი კამეჩების ნახვის იმედს. ერთხელ ჩემმა ორმა შავკანიანმა თანა-


მაღალი შამბი ფარავდა. მაშინ გადაწყვიტე გამესროლა თოფი და დამეფრთხო ცხოველები. წარმოუდგენელი ხმაურობა ატყდა. ლერწამი შეინძრა და აშრიალდა, აქა-იქ გამოჩნდა უზარმაზარი რქები და ცხოველების შავი ზურგები. სანამ ჯოგი ხშირ ტყეში მიიმალებოდა, ფოტოგრაფიულმა აპარატმა რამდენიმე კამეჩას გადაღება მოასწრო.

## საშველი არ არის.

ჩვენი ტროპიკულ ტყეში ყოფნა ვათავდა. ვინაიდან სულ ერთი მიმართულებით მივედიოდით, ბოლოს ტყის საზღვარსაც მივადწვიეთ. ჩვენ წინ გადაიშალა ახალი ქვეყანა, — ქვეყანა თვალუწვდენელი მინდვრებისა, რომელსაც სავანებს უწოდებენ. სავანებზე ცოტა იყო ჩრდილიანი და დასამალავი ბნელი ადგილი. თვალის უშვრდა

სათიბების უსაზღვრო ზღვას, რომელიც ლელავდა ნიაგის მცირე ქროლაზედაც კი. ცხოველი მზე ანათებდა გარემო ადგილებს, წმინდა ჰაერში მოჩანდა შორეული მთების ნაკვეთები.

ნოტიო და დახუთული ტროპიკული ტყის შემდეგ ჩვენ სიამოვნებით ვსუნთქავდით მინდვრების სუფთა და სალ ჰაერს.



ლენინის სახელობის მეორე საცდელ-საჩვენებელ სკოლაში პიონერებმა თვითონ დადგეს დინამო და მოაწყვეს ელექტროსადგური

ზოგიერთი ჩვენი გამყოლი პირველად ხედავდა სავანებს; ისინი სახტად დარჩენილი იდგენ ერთ ადგილას. მათი თვალები ვერ შეჩვეოდნენ სივრცისა და სინათლის ასეთ სიუხვეს. ზოგიერთი მათგანი, რომელიც არაოდეს არ გასცილებია ტყეს, შეშინებული გასცქეროდა მის თვალწინ გადაშლილ სივრცეს, სხვები აღტაცებული იყვნენ და სიხარულით სალამს აძლევდნენ ტრიალ მინდვრებს, შორეულ მთებს და მზის ცხოველ სინათლეს. მთელ ტროპიკულ აფრიკაში ერთმანეთის გვერდით არსებობს ორი სხვადასხვა ქვეყანა: ბნელი, პირქუში ტყეები და მხიარული გაშლილი ველები.

ჭალები, მთები და მთის ფერდობები—ყველაფერი მაღალი ბალახით იყო დაფარული. სავანებზე გველებით მოიკლაკნებოდნენ მდინარეები. მდინარეებს შორის ხარობდნენ პატარა ტყეები. მდინარეებს გასწვრივ მიჰყვებოდნენ ხეების დერეფნები. ზევიდან, მაღალი მთიდან რომ დაგეხედათ მიდამოებისათვის, გვეგონებოდათ შავი ზოლებით არის დალაქულიო. ეს ზოლები წარმოადგენდნენ ისეთსავე ტროპიკულ ტყეებს, როგორიც ცოტახანის წინათ გავიარეთ.

სავანებში წელიწადის ორი დრო არის: მშრალი და წვიმიანი. მშრალ პერიოდში ბალახი ხმება და ცხოველები საცხოვრებლად მიდიან იმ ადგილებში, სადაც წყალი და საკვები იშოვება. დადგება თუ არა წვიმის პერიოდი, მიდამო ამწვანებას იწყებს, ხეებზე გამოჩნდება ნორჩი ფოთოლი, ნაკადულები და მდინარეები გაივსებიან წყლით; ცხოველები უბრუნდებიან გამოცოცხლებულ, მსუყე ბალახით სავსე მინდვრებს, და მათთვის იწყება ლალი ცხოვრება.

მშრალ პერიოდში ადგილობრივი მცხოვრებნი ცეცხლს უკიდებენ ხმელ ბალახს და ხშირად ხანძრის საშვალებით აწყობენ ცხოველებზე ნადირობას.

ერთხელ სავანებში მოგზაურობის დროს ჩვენ შევამჩნიეთ, რომ ბალახის სუნს ერთვოდა რალაც არასასიამოვნო სუნი. პირველად ვერ მივხვდით, რა იყო, ბოლოს კი ვიგრძენით, რომ კვამლის სუნი იდგა.

— ეს აჩაურები ნადირობენ სპილოებზე,— გვეთხრა ჩვენმა თარჯიმანმა,— ისინი დევნიან ნახირს ჭაობებისკენ, გზაზე კი ცეცხლს უკიდებენ ხმელ ბალახს, რომ ცხოველებს უკან გაქცევა აღარ შეეძლოთ.

ჩვენ გავემართეთ ლერწმებით დაფარული ტბისკენ. ნახევარი საათის სვლის შემდეგ მივალწიეთ ტბის ნაპირებს. ტბას ნამგალა მთვარის ფორმა ჰქონდა. თავისი ბოლოებით იგი ეკვროდა ნახევარკუნძულს. ამ ნახევარკუნძულზე არავითარი მცენარე არ ხარობდა. მოჩანდა სპილოების და კამეჩების ნაკვალევი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ცხოველები წყლის სასმელად დადიოდნენ იმ მხრიდან, რომლიდანაც ნახევარკუნძული დანარჩენ მიწას უერთდებოდა.

შორს ვაკეზე ეხლა მოჩანდა სქელი ღრუბლის მსგავსი მუქი-ლურჯი ბოლი. მოისმა ხმაურობა, რომელიც შორეულ ქუხილს წააგავდა.

— სპილოები მორბიან ტბისაკენ მომავალ ბოლიკზე, — ავიხსნა გამყოლმა, — სხვა გზა მათ მოჭრილი აქვთ.

სპილოების ჯოგი ახლოვდებოდა. დედამიწა ხანხარებდა ამ გოლიათების ფეხებ ქვეშ. ისინი დამაყრუებელი ხმით ღრიალებდნენ, ეს ხმა საყვირების გუგუნს მოგვაგონებდა. ვაკეზე ეხლა შეიძლებოდა დაგვეთვალა ოცამდე სპილო, — მამლები უზარმაზარი ეშვებით და დედლები პატარა შეილებით. მათ შორის იმყოფებოდა რამდენიმე კამეჩი და ანტილოპა. მაღალი ცეცხლის სვეტებისაგან დამფრთხალი, არეულ-დარეული, გამწარებული მოქროდნენ ვიწრო ბილიკით კუნძულისაკენ; სხვადასხვა ნადირებსა და ცხოველებს დავიწყნოდათ ერთმანეთთან მუდმივი მტრობა. ვივირები და ანტილოპები ერთად მორბოდნენ. ლეოპარდი ეკვროდა ზებრებს.

მდინარის ნაპირებთან ჩაყურსულიყვენ ნიანგები. ისინი იწვენ შლამში ხის ნამორებივით და დროგამოშვებით გაჰყურებდნენ მოახლოვებულ ცხოველებს. ისინი გრძობდნენ ნადავლის სიახლოვეს და მოთმინებით უკდიდნენ დროს, რომ კბილი გაეკრათ მსხვერპლისათვის.


ამასობაში ტაროსი შეიცვალა და გაავდარდა. ასეთი უეცარი წვიმა ძალიან ხშირია ტროპიკულ ჰავაში. შავი, კუპრისფერი ღრუბლები გადაეფარა ცას, წამდაუწუმ თვალის მომჭრელ დელავდა და ქექა-ქუხილი ახშობდა ყველა სხვა ხმაურობას. წვიმის მძიმე წვეთები ხეებიდან ჰყრიდნენ ნაყოფს და ძალუმი ქარი ხის კენწვროებს მიწამდე ღუნავდა. გროვად შეჯგუფებული მაიმუნები ერთმანეთს ეხუტებოდნენ. ისინი წკავწკავობდნენ. მწერები თავის ბუდეებში მიეშურებოდნენ, დამფრთხალი ფრინველები კი მიფრინავდნენ ხშირ ტყეში თავის შესაფარებლად.

ავდარმა გადაარჩინა ცხოველები დაღუპვას. წვიმამ ჩაანელა ხანძარი და ცხოველებს საშვალება მიეცათ სხვადასხვა მხარეს გაფანტულიყვენ.

# საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაცია

დიდია საბჭოთა კავშირი, დედამიწის ერთი მეექვსედი უჭირავს მას, 147 მილიონი ცხოვრობს მის მიწაწყალზე, 147 მილიონს სჭირდება სმა-ჭამა, ჩაცმა-დახურვა. ათასი მიმართულებით მიქრიან ჩვენს კავშირში მატარებელნი, გადაყავ-გადმოყავთ ხალხი, მიაქვთ და მოაქვთ სხვადასხვა საქონელი, გემები შეუპოვრად აპობენ ჩვენი ზღვების ტალღებს და ამყარებენ კავშირს უცხო ქვეყნებთან. სამრეწველო ცენტრში ტყესავით ამართულა ქარხანა-ფაბრიკების მიწები, და მანქანები ათასობით გუგუნებენ, რომ მოგვცენ საჭირო ტანსაცმელი, საკვები ნივთიერებანი და სამუშაო იარაღები. ვაკე ადგილებზე ზღაპრული დევეებივით დადიან ტრაქტორები, რომ შეუშფოთონ ძილი ყამირ მიწას და აღმოაცენებინონ კავშირის მცხოვრებთათვის სხვადასხვა პურეული მცენარე...

დიდია საბჭოთა კავშირი, მრავალფეროვანია მისი ზედაპირი, ზოგან თვალუწვდენი ვაკეა, ზოგან კი მთები ჯარად დგას და მათი ანკარა შვილები, პატარა მდინარენი, გიჟური სიცვლქით ჩამორბიან ძირს, სადაც მათ უერთებიან სხვა თანამოდმენი და მძლავრ მდინარედ ევლინებიან ბარს. მდიდარია ჩვენი კავშირი მდინარეებით! დინჯად, მდორედ მოდის ზღვასავით გაშლილი მრავალწყლიანი ვოლგა, რომელსაც სერავენ გემები, მძლავრად მოაქანებენ თავის ტალღებს დნებრი, ვოლხოვი... ენგური მტრისაგან დამფრთხალ ირემივით ჩამორბის, რიონი მოკუხს, მტკვარი გარბის კასპიის ზღვისკენ და „თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან“. რომელ ერთს მოსთვლით, რომელ ერთს გაიხენებთ — კავშირის მიწაწყალზე ხომ ათასობითაა მდინარე, და წყალს ხომ დიდი ძალა აქვს, ეს „თეთ-



ზ ა ჯ ე ს ი ს ს ა გ უ ბ ა რ ი .

დიდია საბჭოთა კავშირი, მრავალრიცხოვანია მისი მოსახლეობა, და აუარებელი ენერჯიაა საჭირო, რომ ავამოძრაოთ მანქანები, მატარებელნი, სასოფლო მეურნეობის იარაღები. ამ ენერჯიას იძლევა შეშა, ნავთი, მაზუთი, წანახში. ხშირად ათასი ვერსის მანძილიდან უნდა მივაწოდოთ ფაბრიკას მაზუთი, ამას სჭირდება ტრანსპორტი, ხარჯები, დრო და მრავალი ადამიანის შრომა, თანაც სხვადასხვა სახის საწვავი მასალა ჩვენი უზარმაზარი ქვეყნისთვის ხშირად საკმაოც არ არის — ტყვილა კი არ ამბობდა ერთი პროფესორი: საბჭოთა ქვეყანა საწვავის ქრონიკული დეფიციტის ქვეყანაა. მაგრამ იქნება არის რაიმე გამოსავალი, იქნება შეიძლება ეს მტკივნეული საკითხი სათანადოდ მოგვარდეს?

რი ნახშირი“ ხომ დაუფასებელია!..  
საბჭოთა ხელისუფლებამ მტკიცედ გადაწყვიტა „თეთრი ნახშირის“ გამოყენება და, თანახმად ლენინისა, საბჭოთა ხელისუფლებას რომ ელექტროფიკაცია მიემატება, ეს მოგვცემს სოციალიზმსო, — შეუდგა ქვეყნის ელექტროფიკაციის საქმეს. ამჟამად ელექტროსადგურების ძალა ომამდე არსებული ძალის 158% უდრის და განზრახულია 1932 წლის გასულისთვის 290%-მდე იქნეს აყვანილი, ე. ი. თითქმის სამჯერ მეტი ენერჯია უნდა მოგვცენ ელექტროსადგურებმა, ვიდრე ომამდე, მაგრამ ელექტროფიკაცია მხოლოდ ელექტროსადგურებს კი არ გულისხმობს, არამედ ე. წ. თბოსადგურებსაც, სადაც გამოყენებული იქნება გასაყიდად და გადასაზიდავად

უვარგისი ნარჩენები ამა თუ იმ საწვავი ნივთიერებისა. საერთოდ განზრახულია, რომ 1932-33 წელს თბოსადგურებმა და ელექტროსადგურებმა მოგვცენ 610% ომის წინადროინდელი ელექტროენერჯისა, ეს კი მეტისმეტად დიდი მიღწევაა (ამჟამად გვაქვს მხოლოდ 260%).

ელექტროფიკაციის საქმე ჩვენში, სტატისტიკური ცნობების თანახმად, ორჯერ უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე ბურჟუაზიულ ქვეყნებში, მაგრამ თითო სულზე საბჭოთა კავშირში ძლიან ცოტა ელექტროენერჯია მოდის და ამიტომ აუცილებლად საჭიროა ასეთივე სწრაფი ნაბიჯით წინსვლა ელექტროფიკაციის გზაზე.

ანგარიში უნდა გაეწიოს შემდეგ გარემოებას: წინათ ელექტროსადგური უმეტეს შემთხვევაში მოწყობილი იყო ფაბრიკასთან, ქარხანასთან, და ამ ფაბრიკა-ქარხნის გარდა ვერავინ ვერ სარგებლობდა მისი ენერჯით, ახლა კი უმთავრესად **სარაიონო** ელსადგურები ეწყობა, რომლების დანიშნულებაა მთელი რაიონისთვის ენერჯის მოწოდება, ტრაქტორის, სამკელი და საღეწი მანქანების, წისქვილების ამუშავება მისი ენერჯით და სხვ. 1932-33 წლისთვის ელექტროფიკაციაზე დახარჯული თანხა შეადგენს 1,8 მილიარდ მანეთს.

ელექტროსადგურებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ვოლხოვის ელსადგური (რუსეთში) და ზა-

ჰესი. ზაჰესს 36,000 ცხენის ძალა აქვს. წარმოგიდგენიათ: 36.000 ცხენი, და არცერთ მათგანს არ სჭირდება არც თივა, არც ქერი, არც აუარებელი შომვლელი და თავლები. ეს ცხენები, მტკვრის ცხენებში, უკვე აბრუნებენ ტფილისის ქარხნების მანქანებს, დაჰყავთ ხალხი ტრამვით, ანათებენ ქუჩებს, სახლებს, მავთულით აგზავნიან ელექტროს გლეხების ქოხებში, რომ განდევნონ მამაპაპური ჭრაქი და მალე, სულ მალე, რიონის ცხენებთან შეერთებულნი (რიონჰესი უკვე შენდება, ეს ელსადგური მეტად მძლავრი იქნება) აამოძრავებენ მატარებლებს, გადაზიდავენ სხვადასხვა საქონელს, გადაიყვანენ ხალხს. ჩვენში აშენდა აბჰესი (აბაშის ელსადგური), შენდება ელსადგური აჭარის წყალზე, განზრახულია აშენდეს კიდევ ბევრგან, რომ ამ უფასო ცხენებმა იკისრონ ის მძიმე შრომა, რომელსაც ეწევა დღეს მშრომელი მოსახლეობა.

საბჭოთა ხელისუფლებამ უღელი დააღო დნებარს, ვოლხოვს, მტკვარს, რიონს და მრავალ სხვა დიდ და პატარა მდინარეს, და დღემდე უსაქმური ტალღები უკვე იძლევა რამდენიმე ათათასი ცხენის ძალას მშრომელთა საკეთილდღეოდ. მალე, სულ მალე დაეუღლავეთ კიდევ არა ერთ და ორ მდინარეს, და ელსადგურების ქსელით დაიფარება ჩვენი კავშირი, რომელიც დღითიდღე ვითარდება და წინ მიდის.

შ. თ — ლი.



საბჭოთა კავშირის მშრომელთა მასშტაბი

# პიონერების სოცხსაჟი საქმეები

## ვინ აღვივებს პროვინულ ფულს?

განსახკომთან არსებულ თურქთა პედაგოგიური ტექნიკუმში მუშაობა, როგორც კულტურულ, ისე პოლიტიკურ ფრონტზე, დამაკმაყოფილებლად და ნორმალურად მიმდინარეობს. გამოდის კედლის გაზეთი, სადაც შექმდება სხვადასხვა მტკივნეული და საჭირობოროტო საკითხი. კულტმუშაობასაც ჯეროვანი ყურადღება ექცევა. მხოლოდ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, რაც დაუწვეველი და სამწუხაროა: ამ პედაგოგიურ ტექნიკუმში არიან როგორც თურქები, ისე ქართველები, მაგრამ მათ შორის არ არსებობს ინტერნაციონალური დამოკიდებულება. თურქი მოწაფეები გამუდმებით ეჩხუბებიან ქართველებს და ასე დაუსრულებელ ინტრიგას და დავიღარაბას აქვს ადგილი. საინტერესოა, მოწაფეებს შორის ვინ აღვივებს ნაციონალურ გრძნობას და მუღლს, მით უმეტეს, რომ მოწაფეების უმრავლესობა კომკავშირელები და პიონერებია. საჭიროა ამას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, რომ მოწაფეებს შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდეს.

გოგი ლომიძე.

## უღმერთოთა წრე.

მიწსახკომთან არსებულ ამ ს. გეგეჭკორის სახელობის კოლექტივში პიონერთა ინიციატივით ჩამოყალიბდა უღმერთოთა წრე, რომელსაც უშუალო ხელმძღვანელობას უწევს ამავე კომისარიატთან არსებული ა. ლ. კ. კ. უჯრედი. წრე მეცადინეობს კვირაში ერთხელ; ხელმძღვანელის დახმარებით პიონერები არკვევენ რელიგიურ საკითხებს დაეცნობიან საძღვდელოების ცრუ მოძღვრებას. ამ მიზნით უღმერთოთა წრე აწყობს კულტურულ ლაშქრობას.

ვუსურვოთ ამ წრეს შემდგომაც ნაყოფიერი მუშაობა.

გ. ლ — ძე.

## სოფ. ლიკანი.

1926 წლის 1 იანვარს სოფ. ლიკანში დაარსდა ჩიჩერინის სახელობის ნ/პ კოლექტივი. წინათ მისი მუშაობა არ იყო სათანადო დონეზე დაყენებული, ხელმძღვანელი არ მოდიოდა კოლექტივის სხდომაზე, და ორგანიზაცია თითქმის დაშლილი იყო, მაგრამ წელს ბორჯომის რაიბიურომ მიაქცია ამას ყურადღება, კოლექტივის წინამძღოლი გამოცვალა და დაგვიყენა შესაფერისი წინამძღოლი.

ჩვენი კოლექტივის დიდი ნაკლი ის არის, რომ არცერთი პიონერი არ ვიწერთ ჟურნალ „პიონერს“. მომავალში ამას უნდა მიექცეს ყურადღება და ყველამ უნდა შეეუწყოთ ხელი ჩვენი ჟურნალი „პიონერის“ გამოწერას.

ბავშკორი ვანო ნათელაშვილი.

## ჩვენი აზვარები.

(სოფ. ახალდაბა).

ხუთი წელია, რაც ჩამოყალიბდა ახალდაბის ნ/პ კოლექტივი. კოლექტივის მუშაობა პირველად კარგად მიმდინარეობდა, მაგრამ ამაჟამად მოდუნდა, კოლექტივის ხელმძღვანელი არ დაიარება კრებაზე და რგოლის კრებაც არ ტარდება; არსებობს კოლექტივში წრეები, მაგრამ მუშაობა იქაც მოდუნებულია. არ გამოდის კედლის გაზეთი, რაც პიონერების დიდ უკმაყოფილებას იწვევს. უნდა ითქვას, რომ რგოლების ხელმძღვანელების მდგომარეობაც ვერ არის კარგი: თითო რგოლის წინამძღოლს 20 პიონერი ჰყავს, კომკავშირის უჯრედი „არავითარ დახმარებას არ უწევს, რაიბიურო ყოველთვიურად გზავნის დირექტივებს, მაგრამ ხელმძღვანელი მ. სარიშვილი მათ არ ასრულებს. კოლექტივი უსათუოდ დაიშლება.

ბავშკორი ა — ძე.

## ჩვენი უჯრედის მუშაობა სამხედრო ღარში.

ორი წელია დააარსა სამხედრო წრე მეცხრე შრომის სკოლასთან არსებულმა კომკავშირის უჯრედმა. კომკავშირელები და პიონერები სამხედრო საქმეს სერიოზულად ეპყრობიან. ვსწავლობთ სხვადასხვა სამხედრო საქმეს და კერძოდ კი სამხედრო ქიმიას.

სამხედრო წრეში მეცადინეობს დაახლოებით 90 კაცი. მეცადინეობა წრეში შემდგენიარად ხდება: წრე გაყოფილია ორ ჯგუფად და თითო ჯგუფი მეცადინეობს კვირაში ერთხელ. არის შემთხვევები, როდესაც ორივე ჯგუფი გაერთიანებული მეცადინეობს. მომაცადინეთა უმრავლესობას კომკავშირელები და პიონერები შეადგენენ.

ხელმძღვანელი და მისი თანაშემწე მომავრებულნი არიან მე-ნ ლეგიონიდან. ლეგიონს და სსწავლებელს შორის ცოცხალი კავშირია. პიონერთა კოლექტივმა და სასწავლებელმაც მოაწყო ექსკურსიები, როგორც სხვაგან, ისე წითელარმიელთა ლეგიონში. წითელარმიელთა კომკავშირის უჯრედმა ჩვენ უჯრედს გამოუწერა რამდენიმე თვით გაზეთი „წითელარმიელი“, რითაც შესაძლებლობა გვეძლევა უფრო კარგად შევისწავლოთ მათი ცხოვრება.

წრეს დღევანდლამდე არ აქვს სასროლი „ტირი“, რაც, ცხადია, ნაკლია. კომკავშირის უჯრედმა ეს ნაკლი უნდა გამოასწოროს.

ა. ბილანიშვილი.

# პიონერთა დემონსტრაცია საბჭოთა არჩევნებისათვის.

ს ი ა ნ ვ ა რ ს ლ ე ნ ი ნ ს რ ა ი ო ნ ს ნ . პ . კ ო ლ ე კ ტ ი ვ ე ბ მ ა მ ო ა წ ყ ე ს დ ე მ ო ნ ს ტ რ ა ც ი ა სა ბ ჭ ო თ ა სა ა რ ჩ ე ვ ნ ო კ ა მ პ ა ნ ი ა ს თ ა ნ დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ .

პიონერები მოწაფეებთან ერთად გამოვიდნენ ქუჩებში დროშებით, პლაკატებით, ლოზუნგებით; ქუჩებს ამშვენებდა შემდეგი ლოზუნგები:

- ყველა საარჩევნო კრებაზე!
- მუშებო და გლეხებო! აქტიური მონაწილეობა მიიღეთ საბჭოთა არჩევნებში!
- მუშა-ქალებო, არჩევნების დროს — ყველა საარჩევნო კრებაზე.

დღის 12 საათზე დემონსტრაცია გაემართა პლენაროვის გამზირისკენ მუსიკის გუგუნით და სიმღერით.

პლენაროვის გამზირიდან დემონსტრანტები გაემართნენ ლენრაიკომისაკენ.

პლენაროვის სახელობის კლუბის წინ ტრიბუნა აღმართული: იქ ლენრაიონის მე-12 კონფერენციის დელეგატები უნდა მიესალმონ პიონერთა დემონსტრაციას.

შორიდან გაისმა მუსიკის ხმა.

პიონერთა გუნდები რიგ-რიგობით მწყობრად მიდიან ტრიბუნის წინ და კონფერენციის დელეგატებს ესალმებიან — გუნდს მოსდევს გუნდი, რიგს რიგი და ასე დაუსრულებლივ, ტრიბუნიდან კი ისმის ხმები:

- საბჭოთა თავდაცვის სადარაჯოზე იყავ მზად!
- მზად ვართ!

დღის პირველ საათზე ჩაიარეს უკანასკნე — მა მწყობრებმა. დემონსტრაციაში მ ა თ ა ს მ ა პ ი ო ნ ე რ მ ა დ ა მ ო წ ა ფ ე მ მ ი ი ლ ო მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა .

# დისციპლინა აუხილაგელია.

ცხადია, რომ ყოველ ორგანიზაციას აქვს თავისი გარკვეული დისციპლინა. დისციპლინის დაცვით კეთდება ესა თუ ის საქმე, უდისციპლინოდ მუშაობა, შეუძლებელია. ნორჩ პიონერთა ორგანიზაციას აქვს დისციპლინა, მაგრამ ზოგიერთ ორგანიზაციაში ეს ცხოვრებაში არ ტარდება.

მე-9 შრომის სკოლასთან არსებულ მე 23 კოლექტივში პიონერთა კრებები უდისციპლინოდ ტარდება, იქ უწყისო ხმაურობაა. კოლექტივის ხელმძღვანელი არავითარ ღონისძიებას არ მიმართავს დისციპლინის დასამყარებლად. უჯრედრიდან არიან ამხანაგები მიმაგრებული, მაგრამ მუშაობა მაინც არაა სათანადო დონეზე დაყენებული.

გ. პაპ — ლი.

# ჯერჯერობით მუშაობა სუსტია.

ქ. ახალ-სენაკში არსებობს რკ. გზ. ნ/3 კოლექტივი, რომელიც საშუალოდ მუშაობს. სპორტდარგში მუშაობა გამოცოცხლდა, რადგანაც აქ მიმაგრებულ იქნა ამხ. კ. ქოიავა. ხელმძღვანელების მუშაობა წუნდასადები არ არის, მაგრამ ზოგიერთი პიონერის უაქტივობით მუშაობა შეფერხებულია. რკ. გზ. კოლექტივში ყურნალი „პიონერი“ მხოლოდ 5 ცალია გამოწერილი, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს. გვაქვს სამკითხველო, მაგრამ წიგნები ნაკლებადაა. გვაკლია სახელოსნო, რომელიც ყველა პიონერს აინტერესებს. დროა პასიური პიონერები გამოსწორდნენ და შეუდგენ მუშაობას, როგორც სკოლაში, ისე კოლექტივში, და ანგარიში გაუწიონ კოლექტივს ხელმძღვანელის ამხ. კ. ფაჩულიას მუშაობას, რომ იმანაც უფრო კარგად იმუშაოს ჩვენთან ერთად.

ალექსი შენგელია.

# ზ ა მ თ ა რ ი

დაზამთრდა. თოვლმა ჩამოათეთრა ირგვლივ დიდი და მალალი თიხები. მწვანე ქედები ეხლა ისე ჩანს, როგორც ბაბუას ჭალარა თიხები.

ნელა ჩამოდგა ყინვით ზამთარი და ცივი ქარიც ხშირად უბერავს, მზე დამალა და მთლად დაგვადონა სქლად გაწოლილმა შავმა ღრუბელმა.

თოვლი კი ისევ ნელა ჩამოდის და თეთრ მიდამოს სიცივით თოშავს. შრომის შეილები მწყობრი რაზმები ისევ მიდიან და მიაქვთ დროშა!

ნ. დ.


დღეს მეტად ცივი დილა გათენდა, თოვლის ფანტელებს ჰყრის ცივი ქარი. პიონერების გუნდი გამოჩნდა ქუჩაში დოლით და ბარაბანით;

პიონერები კლუბში მიდიან და ზამთრის კუთხეს მხატვრულად რთავენ, მეტი ხალისის ცეცხლი ეტყობა იმათ სიცოცხლით აღსავსე თვალებს.

# ანტარქტიკის გამოკვლევა

ადამიანის გონება არ ისვენებს, მას სურს ყველაფერი იცოდეს, ყველაფერს მიაღწიოს, ის არ უშინდება არავითარ დაბრკოლებას და თანდათან იმორჩილებს ბუნებას, იკვლევს თვალთ უჩინარ ზრებებს, იპყრობს ცის სივრცეს, ეცნობა ჩვენგან მილიონი საათის მანძილზე მყოფ პლანეტებს. ბევრი, ძალიან ბევრი ასი და ათასი მკვლევარი შესწირვია მეცნიერებას, ბევრი ექსპედიცია შთაუნთქავს აბობოქრებულ ზღვებს, უცნობ, გამოუკვლევ ადგილებს, მაგრამ მიზნის მიუღწევლად დაღუპულებს სხვები სცვლიდნენ, ადამიანის გონება მაინც არ ისვენებდა...

როგორც ვიცით, არსებობს ორი პოლუსი —



მრავალი ასეთი ყინულის მთა დაცურავს ანტარქტიკის ზღვებში.

ჩრდილო და სამხრეთის. მკვლევარნი ცდილობდნენ გამოეკვლიათ როგორც ერთი, ისე მეორე. მკითხველებმა იციან, რა დაჟინებით მიიღტვის ადამიანი ჩრდილო პოლუსისკენ, იციან ჟურნალ-გაზეთებიდან ნობილეს ექსპედიციის შესახებ, რომელსაც მსხვერპლად შეეწირა ცნობილი მკვლევარი ამუნდსენი, მაგრამ იქნებ ბევრმა არ იცოდეს, რა საშინელ პირობებში უზღებოდათ რკინის ნებისყოფის მქონე მკვლევარებს სამხრეთ-პოლარული ქვეყნის, ანტარქტიკის, გამოკვლევა, რის შესახებ გვსურს ზოგიერთი ცნობის მოწოდება.

ადამიანმა მიაღწია დილის ვაი-ვაგლახით სამხრეთ პოლუსს, მაგრამ ეს არ იყო საკმაო — საჭირო იყო თვით პოლარული ქვეყნის გამოკვლევა. პირველი ექსპედიცია ანტარქტიკის გამოსაკვლევად სკოტმა მოაწყო და ამავე დროს, 1901 წელს, წავიდა იქითკენ შვედური ექსპედიცია ოტო ნორდენშელდის მეთაურობით. 1901 წელს ამ ექსპედიციამ მიაღწია ანტარქტიკას, მაგრამ ყინულებში ვეღარ გავიდა, უკან დაბრუნდა და გადმოვიდა „ანტარქტიკიდან“

წმ. პავლეს ვულკანურ კუნძულზე. აქედან ნორდენშელდი და ექსპედიციის 5 წევრი წავიდნენ კუნძულ სნო-ხილზე (თოვლის გორა), „ანტარქტიკი“ კი ამერიკაში გაბრუნდა, რომ ზაფხულზე ისევ დაბრუნებულიყო, რაც მან ვერ მოახერხა, ვინაიდან გაუვალმა ყინულმა და აუტანელმა ბუნებრივმა პირობებმა არ მიუშვა ის სნო-ხილამდე. მაშინ ამ გემიდან სამი კაცი წავიდა ქვეითად კუნძულისკენ, მაგრამ იძულებული გახდნენ ყინულზე გაეტარებინათ ზამთარი; ისინი 1903 წლის ოქტომბერში კვლავ წავიდნენ სნო-ხილისკენ და გზაზე შეხვდნენ ნორდენშელდს, რომელიც მარხილით მოგზაურობდა მეცნიერული კვლევა-ძიების საწარმოებლად. „ანტარქტიკის“ კი ყინულები შემოერტყა და 1903 წლის 12 თებერვალს ის ჩაიძირა. გემზე მყოფნი, 20 კაცი, ვაი-ვაგლახით გადარჩნენ და კუნძულზე ძივიდნენ, სადაც გაატარეს ზამთარი.

შვეციის მთავრობამ, რომელსაც 2 წლის განმავლობაში არ მიუღია არავითარი ცნობა ნორდენშელდის შესახებ, დამხმარე ექსპედიცია გაგზავნა ანტარქტიკაში. ასევე მოიქცენ საფრანგეთი (შარკოს ექსპედიცია) და არგენტინა. არგენტინელებმა მიაღწიეს სნო-ხილამდე, სადაც მივიდნენ წმ. პავლეს კუნძულიდან „ანტარქტიკის“ კაპიტანი და 4 კაცი. არგენტინელებმა იპოვეს ნორდენშელდის ჯგუფიც, შემდეგ წმ. პავლეს კუნძულზე გაბრუნდნენ და „ანტარქტიკის“ დანარჩენი წევრებიც აიყვანეს გემზე.

ნორდენშელდის ექსპედიციამ ძალიან ძვირფასი მეცნიერული შედეგი გამოიღო.

შვედურმა ექსპედიციამ როდესაც გაიგო ნორდენშელდის გადარჩენის ამბავი, უკან გაბრუნდა, ფრანგულმა ექსპედიციამ კი გადასწყვიტა დასავლეთ ანტარქტიკის გამოკვლევა და ბევრი ახალი კუნძული აღმოაჩინა.

1903 წლის დასაწყისში ბრიუსის მეთაურობით ეწვია ანტარქტიკას შოტლანდიური ექსპედიცია, რომელმაც აღმოაჩინა ე. წ. კოტისის მიწა, შემდეგ მკურავ ყინულებს შეხვდა და 1904 წელს დაბრუნდა ინგლისში.

როდესაც საფრანგეთში დაბრუნდა, შარკო შეუდგა ახალი ექსპედიციისათვის მზადებას და 1908 წლის გასულს გავიდა კიდევ, აღმოაჩინა ფალიერის მიწა და ბევრი ახალი კუნძული და 1910 წელს დაბრუნდა უკან, ყინულებისაგან და ნახშირის ნაკლებობით გაწამებული.

ორი დიდი მკლევარი — ამუნდსენი და სკოტი — შეუდრეკლად ცდილობდნენ სამხრეთ პოლუსის მიღწევას. ამავ დროს ბევრი ექსპედიცია მიემართებოდა ანტარქტიკისკენ. 1910 წელს იაპონიელებმა მიაღწიეს 70° სამხრ განედის და შემდეგ კი, რადგან ყინულობა დააზიანა გემი, უკან დაბრუნდნენ.

1911 წელს გავიდა გერმანელების ექსპედიცია და 1912 წლის დასაწყისში ვადმოვიდა ყინულის ბარიერზე, მაგრამ საშიხელობა ქარიშხალმა მოამტვრია ამ ბარიერს ყინულის დიდი ნატეხი, რომელზეც იყვნენ ექსპედიციის წევრნი. საშინელი ტანჯვა-წამებით მოხვდნენ ისინი კვლავ გემზე, რომელიც ირგვლივ შემოსეულმა ყინულებმა გაიტაცეს დასავლეთისკენ, და ეს გემი თითქმის მთელი წლის განმავლობაში დახეტიალობდა ყინულების ნება-სურვილზე ვენდელის ზღვაში. 1912 წლის ნოემბრის დამლევს, როგორც იქნა, გემმა დააღწია თავი ყინულებს და დაბრუნდა გერმანიაში. მიუხედავად ასეთი უბედობისა, ამ ექსპედიციამ ზოგი რამ მაინც აღმოაჩინა და ძვირფასი მცენიერული დაკვირვებებიც აწარმოვა.

1911 წლის დეკემბერში გავიდა ე. წ. „ანტარქტიკის ავსტრალიური ექსპედიცია“, რომელსაც სათავეში მოუსხიდა ედგა. 1912 წელს ეს ექსპედიცია ორ ნაწილად გაიყო: მოუსხიდა „ადელის ძიწაზე“ გადავიდა, უილდი კი „ავრორათი“ წავიდა ვილჰელმ II მიწისკენ. მთელი ზამთრის განმავლობაში აწარმოებდა მცენიერულ კვლევა-ძიებას ორივე ჯგუფი (მათ შორის 2000 კილომეტრი იყო). მოუსხიდა მოსიურვა გეორგ V მიწის გამოკვლევა, მაგრამ მისი ერთ-ერთი თანამგზავრი — ლეიტენანტი ნინისი — უგზოუკვლად დაიღუპა თოვლით დაფარულ ყინულის ნაპრალში იმ ძარბილიანად, რომელზეც იყო მთელი სანოვავე. მოუსხიდა და ძიასი მეოთხე თანამგზავრი — ექიმი მერტი — უკან დაბრუნდნენ, მაგრამ მერტმა ვერ გაუძლო შიშძილს და გარდაიცვალა 1913 წლის 8 იანვარს, მოუსხიდა კი, ლაიდად ქცეულმა, 29 იანვარს ძიაღწია საანოვავის საწყობაძდე, 7 თებერვალს კი საზამთრო ბანაკში მივიდა, სადაც გაატარა ზამთარი ექსპედიციის სხვა წევრებთან ერთად, უაილდის ჯგუფმა კი 3000 ფოტოგრაფიული სურათი გადაიღო, მკავსო რუკა ახალი ადგილებით და მეტეოროლოგიური დაკვირვებანიც აწარმოვა. 1914 წლის ზაფხულზე ეს ექსპედიცია ავსტრალიაში დაბრუნდა.

მიუხედავად აღმოჩენებისა და გამოკვლევებისა, მაინც გამოურკვეველი იყო — ანტარქტიკის მიწა ერთი მატერიკი იყო თუ გიგანტური კუნძულების ჯგუფი. ეს საკითხი არ ასვენებდა შეკლტოსს და 1914 წლის აგვისტოში ის კვლავ გაემგზავრა ანტარ-

ქტიკაში გემით „ენდიურენსი“, მისი ექსპედიციის მეორე ნაწილი კი „ავრორით“ გავიდა. „ენდიურენსი“ ვერ შევიდა ვენდელის ზღვაში, ვინაიდან მას ყინულები შემოერტყა; 9 თვის განმავლობაში დააქანებდნენ ყინულები მას აქეთ-იქით, 1915 წლის 27 ოქტომბერს კი ის, მთლად დამსხვრეული ყინულებისაგან, ჩაიძირა. ექსპედიციის წევრები ყინულზე მოთავსდნენ და ამრიგად 5 თვის განმავლობაში დასურავდნენ ამ ყინულის სამეფოში, თანაც ყოველ წამს სიკვდილს ელოდნენ. 1916 წლის 14 აპრილს ნავებით მოახერხეს სპილოს კუნძულზე მისვლა (შოტლანდიის კუნძულებს ეკუთვნის), სადაც არის ნორვეგიელ ვეშაპისმჭერთა სადგური, მაგრამ ამ დროს აქ უკვე არავინ არ იყო, და მათ სიმშლით სიკვდილი მოელოდა.



ბ გ რ დ ი

რკინის ნებისყოფის მქონე შეკლტონმა გადაწყვიტა 5 კაცთან ერთად წასულიყო ორთაყვირიანი ნავით კუნძულ სამხრეთ გეორგიაზე, იქამდე კი 1500 კილომეტრი იყო და ამობოქრებულ ოკეანეში ნავით ამ მანძილის გავლა პირდაპირ სიგიჟეს უდრიდა. 6 კაცს, პატარა ნავეში მჯდომს, დიდხანს დააქანებდა ოკეანე თვის ზვირთებზე, ბევრჯერ ლამობდნენ მათ ჩულაპვას ყინულები, მაგრამ მოხდა სასწაული და მათ მიაღწიეს მიზანს, მაგრამ იმ ნაპირას, რომელსაც ისინი მიაღვენ, მოსახლეობა არ იყო და საჭირო გახდა 61 კილომეტრის გავლა, მთებისა და ყინვარების გადალახვა. 36 საათს იარეს მათ და მივიდნენ ვეშაპის დამჭერებთან. შეკლტონმა სამჯერ გამოიბოხვა ხან გემი, ხან ყინულის მჭრელი — ამხანაგების დასახსნელად, მაგრამ გაგიჟებულ ოკეანესთან ვერაფერს გახდა. მეოთხედ კი მან შესძლო სპილოს კუნძულზე მისვლა და ყველა 22 ამხანაგის გადარჩენა. როდესაც მივიდა სამხრეთ ამერიკაში, შეკლტონმა გაიგო, რომ მისი ექსპედიციის მეორე ნაწილი როსას ზღვაში იღუპებოდა და მშველელი არ ჰყავდა, მან იმდენი ჰქნა, რომ ისინიც გადარჩინა, თუმც 10 კაცში მხოლოდ

7 ვადარჩა: ერთი ცინგამ იმსხვერპლა, ორი კი ნაპრალებში გადაიჩენა:

შელკტონმა მაინც ვერ მოისვენა და კიდევ უნდოდა ექსპედიციის მოწყობა; რაც მან მხოლოდ 1921 წლის სექტემბერში შესძლო და მივიდა კუნძულ სამხრეთ გეორგიასზე, მაგრამ აქ ავად გახდა და გარდაიცვალა. მისი შესანიშნავი გეგმა განუხორციელებელი დარჩა და 6 წლის განმავლობაში არავინ არ გამოჩნდა, რომელსაც მოესურვოს ანტარქტიკის გამოკვლევა.

ნობილეს ჩრდილო პოლუსზე გაფრენამ, ამ ექსპედიციის მარცხმა და მთელი ქვეყნიერების ჟურნალ-გაზეთებში ამტყდარმა ხმაურმა კვლავ საინტერესო გახადა ანტარქტიკის საკითხი, და 1928 წლის შემოდგომაზე სამი ექსპედიცია გაემგზავრა იქითკენ. ყველაზე დიდია ამერიკელი ბერდის ექსპედიცია. ბერდმა 1926 წელს ჰაერით პირველმა მიაღწია ჩრდილო პოლუსს. ამ ექსპედიციისთვის სამი ხომალდია ნაქირავები, რომლებსაც უკვე მივიდნენ ყინულის ბარიერთან როსას ზღვაში, სადაც მოეწყობა მთავარი ბაზა. ეს ხომალდები ძალზე კარგადაა მოწყობილი — 3 აეროპლანი, 100 შესაბამელი ძალლი, რომლებსაც ესკიმოსები ახლავს, ორი ტრაქტორი, 6 დასაშლელი ხის სახლი და 100.000 კილო სურსათი, აუარებელი საუკეთესო სამეცნიერო იარაღი და სხვ. ბაზა უკვე მზადდება; აშენებენ სახლებს, სადაც იქნება მთის მზე, 1000 ტომისაგან შემდგარი ბიბლიოთეკა, სხვადასხვაგვარი საკრავი იარაღი, თვით პიანინოც კი, და რადიოსადგური, რომელიც 50.000 მანეთი დაჯდა. როგორც კი მოეწყობა ბაზა, აეროპლანებით გაფრინდებიან სხვადასხვა მიმართულებით, სხვადასხვა მეცნიერული მიზნით.

პოლუსზე გაფრინდება ფორდის სამმოტორიანი დიდი აეროპლანი, რომელსაც მართავს ცინობილი ამერიკელი მფრინავი ბელჩენი. მეორე აეროპლანობი იფრენს, რომ სხვადასხვა რამ აღმოაჩინოს, მესამე კი ბაზაში იქნება მუდამ მომზადებული დახმარების აღმოსაჩენად, თუ ეს საჭირო იქნა. გარდა ამისა, გზებზე პოლუსისკენ მოეწყობა მთელი რიგი დამხმარე დეპოები. ფრენის დროს აეროპლანებიდან ავტომატიურად გადაიღება ანტარქტიკის კინო-სურათები. განზრახულია მარხილებით, რომლებშიც ძაღლები იქნებიან შებმული, სხვადასხვა მიმართულებით წასვლა და გეოლოგიური, მეტეოროლოგიური და სხვა გამოკვლევების ჩატარება. ბერდი ექსპედიციის მუშაობის შესახებ ყოველდღე გამოგზავნის რადიოცნობებს. ექსპედიცია უკან დაბრუნდება მხოლოდ 1930 წელს.

მეორე ექსპედიციის მეთაურია ავსტრალიელი მეკვლევარი ვილკინსი, მაგრამ მას მხოლოდ ერთი აეროპლანი აქვს და თითქმის არავითარი მოწყობილობა არ გააჩნია, მესამე ექსპედიციას მეთაურობს ინგლისელი ჯეფრეი, რომელიც შელკტონთან ერთად იყო ანტარქტიკაში და იცნობს იქაურ პირობებს.

ადამიანის გონება არ ისვენებს, ის თანდათანობით იბყრობს უსაზღვრო სივრცეს, აბობოქრებულ ზღვებს და თავზარდამცემ ყინულოვან მთებს. აეროპლანის პროპელერის გუგუნე ვაისმის ორივე პოლუსთან, და ადამიანის მუდამ დაუცხრომელი გონება გაჰყურებს მთეარეს, მარსს და სურს გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლება, შესძლოს ის, რაც ათასეულ საუკუნეებს ოცნებად მიაჩნდათ.

ისარი.



# მოხალატი კული

ისტორიაში არსებობს არა ერთი და ორი ლეგენდა და ამბავი ქულებზე. მაგალითად, „ქული მონომახისა“ (ასე ეძახდნენ რუსები მეფის გვირგვინს), როგორც ცნობილია, ძალიან მძიმე ყოფილა. იმათ, რომელნიც ამგვარ ქულს ატარებდნენ, მეფეებს ანუ მონარქებს ეძახდნენ. მეფეები ატარებდნენ ამ ოქროს მძიმე ქულს და ამბობდნენ: „მძიმე ხარ, ქულო მონომახისა!“ მაგრამ ამ ქულის მოხდა მაინც არ სურდათ, და მოუშებსა და გლეხებს ხვდათ წილად ამის ჩადენა. მათ მოხალეს გვირგვინი მეფეს.

არსებობს კიდევ ამგვარი „ისტორიული“ ქული. ის ეკუთვნოდა შვეიცარიის ერთ-ერთ მმართველს. იმის შესამოწმებლად, თუ როგორ ეპყრობოდნენ ქვეშევრდომნი მმართველს, აგრითვე იმ მიზნით, რომ სულ დაეცირებია და დაიმორჩილებია ქვეშევრდომნი, მმართველმა ქალაქში მოედანზე ჩამოკვდა თავისი ქული და ბრძანა ყველა გამვლელ მოქალაქეს მოწიწებით მოეხადა ქული სვეტზე ჩამოკიდებული ქულის წინაშე. შვეიცარიის ლეგენდარულმა განწათვისებულმა გმირმა და მარჯვე მსროლელმა ვილჰელმ ტელმა არ ისურვა ამ ქულის წინაშე ქედის მოხრა და რა მოჰყვა ამას შედეგად, ყველასათვის, რასაკვირველია, ცნობილია.

იყო კიდევ „საბერძნეთის ქული“. როგორც რუსულ ზღაპრებში ნათქვამია, თურმე ეს ქული ძალიან ბევრ ფუთს (მაშინ სიტყვა კილოგრამი არ იყო დიდნი) იწონიდა. ის „მონომახის ქულზე“ უმძიმესი იყო. და სწორედ ამ დროს დევ-გმირმა დობრინია ნიკიტინმა განზრახ დაიწყო მათხოვრობა, დაიხურა საბერძნეთის მრავალფუთიანი ქული, იარა, იარა და ბოლოს სულთანს მიადგა, სამხრეთით. დევ-გმირ დობრინია ნიკიტინს ზემ-ხსენებულის სულთანი, მგონი, არ მოეწონა. ძალზე გააჯარებულმა მან სულთანს უხეში ლანძღვა დაუწყო. სულთანი გაანჩხლდა, იძრო ხანჯალი და მოუქნია დობრინიას, რომელმაც მოიხადა თავისი ბერძნული მძიმე ქული და მოუქნია. ხანჯალი კარს ეცა. კარი ჩამოვარდა და სულ გაუღიჯა სულთნის მსახურნი, რომლებიც, ალბათ, ჭუჭრუტანაში იყურებოდნენ. აი, როგორი ქული იყო!..

მაგრამ ეს ყველაფერი ოდესღაც მოხდა. ყველაფერი ეს უმთავრესად ზღაპარია! დრომ ბევრს მოხდა ქული და გვირგვინი. ეხლა ქულები, კვკები და სხვა-საგნებით ჩვეულებრივი და არაისტორიულია. მათ არაფერ არ უწევს ანგარიშს. ყველა კოლბში ასეა გამოცხადებული: „გთხოვთ ქული მოიხადოთ“.

## ქულების ამორჩევა

განა ღირს ლაპარაკი ქულის შესახებ? რასაკვირველია, ღირს! თურმე ახლაც არის ისეთი ქვიჩანა, სადაც ქულს შეოძლია ვაგლეხა მოახდინოს სახელმწიფოს ცხოვრებაზე. არის აგრეთვე ქვეყანაც, სადაც ქულები ჩმნიან პოლიტიკას... ეს ქვეყანა — ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატებია. იქ პრეზიდენტის ქული არანაკლებ მნიშვნელოვან პოლიტიკას ჰქმნის. ეხლა, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტი ვადაარჩიეს. ყოველი პარტია აყენებს თავის კანდიდატს. საპრეზიდენტო კანდიდატები მოგზაურობენ და გამოდიან მიტინგებზე. ერთ-ერთი ასეთი კანდიდატი გამოვიდა ერთხელ ამომრჩეველთა მიტინგზე. ის დიდხანს არწმუნებდა მსმენელთ, რომ იმაზე უკეთეს კანდიდატს საპრეზიდენტოდ ისინი ვერ მოსძებნიდნენ, არწმუნებდა, რომ ის ყოველად პატიოსანი და კეთილი ადამიანია, ჭკვიანია, დადის ეკლესიაში. ბოლშევიკები სძულს, და ლმირთსაც უყვარს იგი. ამ დროს ერთ დედაბერს ისე აუჩვილდა გული, რომ დაიწყო ხალხის ვარღვევა, სურდა ხელი ჩამოერთმია „ჩრდილოეთ ამერიკის პირველი მოქალაქისთვის“. მაგრამ ხალხი ისე ირეოდა, რომ დედაქალაქმა ვერ შესძლო მასთან მისვლა. ერთმა მოქალაქემ მას ბებერაზე ფეხი დააბიჯა და დედაქალაქმა ქნავილი მორთო. მაგრამ დემოკრატიულმა კანდიდატმა შორიდან შეამჩნია მისკენ

მიმავალი დედაბერი და გაუწოდა ხელი, რომელშიც ქული ეჭირა. დედაქალაქი სწვდა ქულს და მოუჭირა ხელი. ამ დროს კანდიდატს ცრემლი მოერია და მიმართა დედაქალაქს: — „წაიღეთ ეს ქული, უმშვენიერესო და გამბედაო მოქალაქე! მე გაძღვეთ მას სახსოვრად. მე ისე მოხარული ვარ... ქული ღირს 5 დოლარი და 6 ცენტი!“ კანდიდატს კიდევ უნდოდა აცრემლება... მაგრამ არაფერი არ გამოვიდა.

ამის შემდეგ კანდიდატი ყოველ მიტინგზე გამოსვლის დროს საჩუქრად არიგებს თავის ქულს. ის მოდის მიტინგზე აუარებული ქულით დატვირთული საბარგო ავტომობილებით. ჯერ ის აცნობს ხალხს თავის თავს, როგორც საუკეთესო კანდიდატს პრეზიდენტის ალაზე და მერე იწყებს ქულების დარიგებას კალაობით და ბითუმადაც. ამ დროს ის უხმოდ ანგარიშობს:

— სამი ათასი ქული, თითო ღირს ფასდაკლებით... რვას ვწერთ, ორს ვინახსოვრებთ! არაფერია, არაფერია, ჩემო კარგებო, თქვენ მხოლოდ ამომირჩიეთ პრეზიდენტად და მე კი ამ ქულების სამაგიეროდ უკანასკნელ პერანგსაც ვაგხდით. მე ჩემსას დავიბრუნებ, მხოლოდ ხმა მომეცით მე!

ეხლა ის მიეჩნია თვალებიდან ზღვა ხალხის წინ ცრემლების ღვრას, და ვინ იცის რამდენი კინოგადაღლები ატრიალებს ამ დროს აპარატის ხელს. რომ გადაიღონ ცრემლიანი ორატორი და მისი ქულები.

— მე თქვენ ქულებით მოგსპობთ! — უყვიროს ის მეორე კანდიდატს.

ქულები... ქულები... ქულები... ქულები... როდესაც ჩვენ გვინდა ქულის ყიდვა, მივდივართ მაღაზიაში და ვირჩევთ შესაფერის ქულს. ამერიკაში კი პირიქით — ქულები ირჩევენ პრეზიდენტს. ჩვენში მათხოვრები გამვლელთ უშვერენ ქულს და ითხოვენ მოწყალებას:

— გაიმეტეთ გროში ყოფილი ბერისთვის... ამერიკაში კი პრეზიდენტად წამოსკუბების მსურველნი ათასობით იშვერენ ქულებს და მოწყალების ხმით ქნავენ: „მიეცით ხმა მომავალ პრეზიდენტს“.

## პრეზიდენტ კულიჯის ქული.

ეხლა შეერთებულ შტატებში პრეზიდენტობის უკანასკნელი დღეები დაასრულა მისტერ კულიჯმა, ამერიკის ყოფილმა პრეზიდენტმა.

მისტერ კულიჯს, ალბათ, ბევრი ქული აქვს. მაგრამ ეხლა გვიამბობთ ერთ ამბავს, რომელმაც შეაშფოთა მთელი ამერიკა. ეს საინტერესო ამბავი ამ რამდენიმე ხნის წინათ ამოვიკითხე ერთ ამერიკულ გაზეთში. გაზეთში მსხვილი ასოებით იყო დაბეჭდილი შემდეგი სასწრაფო დეპეშა:

## „კულიჯი ჭილის ქულით“.

გუშინ, ჭილის ქულების ტარების სეზონის დაწყებამდე ოთხი დღით ადრე, პრეზიდენტი კულიჯი ბალის სასიეროდ გამოვიდა ჭილის ქულით!!! მისი ქულის ლენტია, მიუხედავად მოდისა — შავია!

— ერიპა! — აჯაჯლანდენ ამერიკის ჩინოვნიკები, ვაჭრები, მაკლერები და ფერმერები, რომლებიც მიჩვეული იყვნენ ქულების ტარებას მხოლოდ სეზონის მიხედვით. — სეზონის დაწყებამდე ოთხი დღით ადრე? და კიდევ შავი ლენტით? რა ხდება ქვეყნად და თეთრ სახლში?!) ეჰ, როგორ წახდა დროება!..

საქმე კი ასე იყო: ღამე ნახშირივით შავი იყო, მაგრამ მზემ დილით გაარღვია ეს ნახშირივით ჩამოწოლილი ღამე.

ვაშინგტონის ცა უღრუბლო იყო. მზემ გადმოხედა ვაშინგტონის ცაღმბეჭვნებს, ბანკებს, ქალაქის ქუჩებს და ოქროსფერი სხივი გადაათრქვია. საშინლად ჩამოცხა, საზამთრო ქული აოფლიანებდა თავს, მაგრამ მოქალაქენი მა-

1) ამერიკის პრეზიდენტი ცხოვრობს თეთრ სახლში, ქალაქ ვაშინგტონში.

ინც ვერ ბედავდენ საზაფხულო, ქილის ქულის დახურვას. ცნობილია, რომ თეთრი ფერი ყოველგვარ სხვის არგულავს. მაგრამ იმ დღეს ისე დაიხა, რომ კულიჯის თეთრ სახლშიც სუნთქვია შიშველებელი გახდა. კულიჯმა განაზრახა გასულიყო ქალაქ გარეთ გასაგრილებლად. კულიჯს საზამთრო სქელი ქოლის დახურვა პირდაპირ შეუძლებლად მიანდა. მაგრამ, დახედა რა კალენდარს, დაწმუნდა, რომ ზაფხულის სეზონამდე კიდევ ოთხი დღე იყო დაჩენილი. ოთხი სიცხიანი დღე!

— მიძიე ხარ, ქულო პრეზიდენტისა! — გაიფიქრა მან. სინდრეი ტერმომეტრში სულ მალა-მალა იწყებდა, თითქოს ცველივით, რეომიორებმა და ფარინგეიტებმა პირი შეჭკრეს ამერიკის პრეზიდენტის წინააღმდეგ. ბოლოს ვაოფლიანბოლომა კულიჯმა გააოხრებდა.

— გეთაყვა, მომიჩანეთ ჩემი ჰილის ქოლი, — მიმართა მან თეთრი სახლის სამნეო განათილებების გამგეს.

— ნება მომეცით მოგახსენოთ, ბატონო პრეზიდენტო, — მოწიწებით მიმართა მან, — რომ სეზონამდე კიდევ ოთხი დღეა. თითქოს უხერხულია!..

— გოდამ! — გაბრაზდა პრეზიდენტი — ეგ რა შენი საქმეა! ვინ არის პრეზიდენტი, შენ თუ მე?

ხოთი წუთის შემდეგ პრეზიდენტი კულიჯს ქილის საზაფხულო ქოლი ეხურა, რომლისაც ნაფტონის სუნი ასროდა. ქოლის შემოკრული ჰქონდა შავი ლინტი, რადგან თქალი ჩრჩილს შეეჩაჩა, და პრეზიდენტისაც ქილის ქუდს შავი ლინტი შემოკრა. რომელიც ხელში მოჰყავდა.

თეთრი სახლის წინ პრეზიდენტს ზეგრავედენ გაზეთის რეპორტიორები. „ამერიკის თავისუფალი პრესის“ წარმომადგენელთა ყოველ ნაბიჯს ზეგრავედენ ჯამუშობი. ჯამუშობის ყოველ ნაბიჯს ზეგრავედა მაძებარი პოლიციის უფროსი და ამ უკანასკნელის ნაბიჯს კი ზეგრავედა თვითონ პრეზიდენტი. ამგვარად ყველა ზეგრავედა ერთიმორეს.

რეპორტიორებმა, შეამჩნიეს რა პრეზიდენტის თავზე ქილის ქოლი საზაფხულო სეზონის დაწყებამდე ოთხი დღით ადრე და ისიც შავი ლინტი, სწრაფად ამოიღეს ბლოკნოტები, ერთი ორი! — ჩაწერეს რაღაც და — სამი! — თავქოლოვლივით გაიქაჩენ რეგულგრატისკენ. ყოველ მათანს სურდა პირველს მიეწოდებოდა ახალი ამბავი. მაგრამ ერთ-ერთი გაზეთის რეპორტიორი სხვა რეპორტიორებზე უფრო გრძელთეხა აომოჩნდა და მან ყველაზე ადრე მოახიზა ახალი ცნობის მიჩანა. მან გაუსწრო თავის მოქიშვიებს, შეახრა ავტობუსს, შემდეგ გაიმოხტა, გაეჭა პოლისმენს (პოლიციის), დაეჯახა ერთ მოქალაქეს. შეეჯახა ქულების მალაზიაში, იყიდა ქილის ქოლი, სასწრაფოდ დაიხურა და გაიქცა რეოგრაფისაკენ. იმან ვაგაზაჩა ნიუ-იორკში პრეზიდენტის ქილის ქოლის შესახებ სასწრაფო დეპეშა, რომელიც ჩვენ წავიკითხეთ ამერიკულ გაზეთში. მოგარდენ სხვა რეპორტიორებიც, მაგრამ დეპეშა უკვე გადაგზავნილი იყო. პირველმა რეპორტიორმა მოიხადა ქილის ქუდი და მიმართა ტელეგრაფისტებს ხამალა:

სახე — ქილის ქუდის სეზონი უკვე დაწყებულია, თვით პრეზიდენტიც დადის ქილის ქოლით. რას წვალობთ, ოფლი რომ გდისთ საზამთრო ქოლის მეოხებით, ჩქარა შეიძინეთ ქილის ქუდები! ჩქარა, ჩქარა, თორემ ყველა გაიყიდება.

ერთმაშად წამოხტენ რეოგრაფისტები და გაიქცენ ქილის მალაზიისაკენ. დაჩენ რეპორტიორები ხამალა და ერთიმორეს შესცქიროდენ.

რადგან ყველამ ისურვა ქილის ქუდის შეძენა, მალაზიების წინ გრძელი რიგები იდგა.

რეპორტიორები მთელი საათობით იცდიდენ ტელეგრაფში ცალიერი ფანჯრების წინ, ჩვენ რეპორტიორის დეპეშა კი მივიდა ნიუ-იორკში. ახმაურდენ ქალაქის ქუჩები. ბავშვებს დაჰქონდათ სასწრაფო გაზეთი და ყვიროდენ:

— სასწრაფო დეპეშა... ახალი ცნობა პრეზიდენტის ქილის ქუდის შესახებ... ოთხი დღით ადრე სეზონის დაწყებამდე... შავი ლინტი!..

გაზეთები სწრაფად იყიდებოდა... უფრო გაიზარდა რიგები ქუდების მალაზიების წინ. ქუდების „ატელოემ“ სასწრაფოდ გამოიშვა ახალი ფასონის ქუდი „კულიჯის შავი ლინტით“. რადიო გაჰქოდა:

— ქილის ქუდები... მხოლოდ ჩვენთან... იათად... ლამაზად...

თეატრებში საჩქაროდ გამოქიქეს ათეშები ახალი პიისის: „ქილის ქუდი“. ყველგან გაისმოდა ახალი სიმღერა:

ვილისა და ტომსაც  
აქვთ ქოლის ქუდები,  
შავლენტშიმოკრული,  
როგორც პრეზიდენტის.

ჩარლი ჩაპლინიც უტალაბა თავის მუღმივ ცილინდრს და ქილს ქოლი დაიხურა. ამერიკელმა ბოისკაუტებმაც დაიხურა ქილის ქოლი. ამერიკელი ფაშისტების ორგანიზაციამ კუ-კლუქს-კლანმა. მიიღო რა მხიდვილობაში, რომ პრეზიდენტის ქუდზე შავი ლინტი ნიშნავდა მათდამი სიშპაჩიას და ყურადღობას! პრეზიდენტის მხრივ, დიდი ზეიმი გაერთა. ამ ზეიმზე შეზარხოშებულმა თავისებებმა დაბეგეს რამდენიმე ზანგი. ერთ ზანგ მუშას ზორავა აჰქრეს სალენტზე რყავი.

მალაზიის წინ უკვე არ იყო რიგები. რადგან სეზონს მხოლოდ ოთხი დღის შემდეგ ელოდენ. ფაბრიკანტებმა ვერ მოასწრეს საკმაო ქოლები დამზადება. ამიტომ ქუდები მალე გაიყიდა, და რიგებაც მოისპო. სამაგიეროდ ფაბრიკებში მოშებს აიძულებდენ უფრო ინტენსიურად და დიდხანს ემუშავათ, რომ რაც შეეძლებოდა, ბიკრი ქოდი დაეზიდებინათ. ამის, რასაკვირველია, მოჰყავდა მოშების გათიქვა. ვარდა ამისა, არ იყო საკმაო ქოლი. რადგან ქილის სიმშლი. ქვეყანას ეკონომიკური კრიზისი ემუქრებოდა, რომელსაც „ქუდის კრიზისი“ უწოდეს.

**ქუდი, რომელიც ავიწყდებოდა.**

ყველაფერი ეს, რასაკვირველია, სასაცილოა! თითქოს და საშინელი ამბავი მომხდარა: პრეზიდენტს სეზონის დაწყებამდე საზაფხულო ქოლი დაუხურავს, ისიც შავი ლინტით. განა ამაზე ღირს ამდენი ალიაქოთის ატეხა? რასაკვირველია, არა! აი, ჩვენში, საჭოთა კავშირში, იწერება ონიპროსტროის, ზაპისის, ინდუსტრიულიზაციის, წერაქითხვის უკოდინარბდასთან ბრძოლის და სხვა მრავალი საინტერესო საქმის შესახებ. და რაც შეიხება ქუდის, მას ყურადღებასაც არ ვაქცევთ. ჩვენ ვიცით: სადულისხმო არა ქოდი, არამედ თავი, რომელიც ამ ქუდს ატარებს. აბა, ნახეო, ჩვენს გაზეთში თუ ამოიკითხავთ ამბავს იმის შესახებ, თუ როგორი ქოდი ახურავს ამხ. რიკოვს ან ამხ. კალინინს. რასაკვირველია, არა. არ შეიძლება არ მოვიგონო ერთი შემთხვევა. ერთხელ საბჭოთა სურათებს გამოფენაზე წავიყვანე ლითონის მუშათა ექსპოზისა. ირგვლივ ხალხის ზღვა იდგა. აქ ნახილეთ მუშებს, წითელარმიელებს, პიონერებს, უცხოელ დიპლომატებს. მხატვრებს და სხიებს. ჩვენი ექსპოზისა ერთ ხაინტერესო სურათს შეაჩერდა. უკრად წინ გადაავლეოდა მონუცი მამაკაცი, რომელსაც თავზე ქოდი ეხურა. ქოდი გვიფარავდა სურათის ზოგიერთ ნაწილს. მე ბრაზი მომერია, მოვკიდე ხელი მონუცს და ვეუბნებო:

— მოქალაქე, მოიხადეთ ქუდი, გაიწიეთ: თქვენ ფარავთ სურათს!

მონუცმა ზრდილობინად მოიხადა ბოდიში და ჩამოგვეცალა. შეიხედე მას...

— ვაჰ, ჩემო თავო, ეს ხომ ჩვენი კალინინია, მიხეილ ივანეს ძე.

ისე დავიბენი, რომ ვერ გავარჩიე, კალინინს სეზონის ქოდი ეხურა თუ არა!

აქ დროს ერთმა ექსპოზისანებმა, მონუცმა მუშამ, დამარტყა მხარზე ხელი, გათიხარხარა და მითხრა:

— რა დაგემართა, ყმაწვილო, კალინინი ვერ იცანივებს, ქუდია დამნაშვე, ქუდი!



## ახვეული თვალებით სვლა.

**მოთამაშეთა რიცხვი:** 20—50-მდე.

**სათამაშო ადგილი:** საშუალო ზომის მოედანი, ან დიდი დარბაზი.

**სათამაშო ინვენტარი:** ორი ჯოხი, თოკი და ცხვირსახოცები თვალების ასახვევად.

**მოთამაშეთა განაწილება:** მოედნის ერთ თავში დადგება 4—8—10 მოთამაშე და თვალებს აიხვევენ ცხვირსახოცით ისე, რომ ვერაფერს ხედავდნენ. მოედნის მეორე თავში დასობილია ორი ჯოხი და მათზე გაბმულია თოკი. მის მახლობლად დგას წინამძღოლი.

**თამაშის მსვლელობა:** წინამძღოლის განკარგულებით რამდენიმე მოთამაშე დადგება მოედნის ერთ თავში და თვალებს აიხვევენ. მერე წინამძღოლი დაითვლის: „ერთი, ორი, სამი“. ერთს შემდეგ

თვალემახვეული პიონერები დაიწყებენ წინ სვლას. მოგებული ის არის, რომელიც ყველაზე უფრო ადრე მივა მოედნის მეორე ბოლოში გაყვანილ თოკამდე.

**თამაშის წესები:** 1. თუ მოთამაშეთა რიცხვი დიდია, საჭიროა მათი ჯგუფებად დაყოფა (მაგალითად, ოთხ-ოთხად, რვა-რვაად, ათ-ათად) და ისე გამოშვება საწყისიდან.

2. მოთამაშეებს თვალები მაგრად უნდა ჰქონდესთ ახვეული, რომ სვლის დროს ვერაფერს ხედავდნენ.

3. მოედანი სწორი უნდა იყოს და იქ ქვები ან სხვა რამე ნივთები არ უნდა იყოს.

4. მოთამაშეებს შეუძლიათ ჩქარი სიარული, ხოლო რბენა აკრძალულია.

## თეფუბანი.

**მოთამაშეთა რაოდენობა:** 20—50-მდე.

**სათამაშო ადგილი:** ფართო მოედანი.

**თამაშის მსვლელობა:** მოედანი მდინარეს წარმოადგენს. მოედნის ერთ-ერთ კუთხეში მოთამაშეებულთა მეთევზეების სახლი. მოთამაშენი ორ ჯგუფად იყოფიან; ერთი ჯგუფი მეთევზეებს წარმოადგენს, მეორე თევზებს. თევზები დასურავენ მდინარეში (მოედანზე დარბიან). მეთევზეები მწკრივად მოეწყობიან, ერთმანეთს ხელებს ჩაჰკიდებენ (ამნაირად ბადეს აკეთებენ) და წინ გაეშურებიან თევზე-

ბის დასაჭერად. როდესაც მეთევზეებს თევზის დაჭერა სურთ, ბოლოებში მდგომი მოთამაშეები ერთმანეთს ხელებს ჩაჰკიდებენ, ამნაირად წრე გაკეთდება და შიგ თევზი მოჰყვება. თევზები უნდა ცდილობდნენ, რომ ისინი არ დაიჭირონ. დაჭერილ თევზს მეთევზეები შინ წაიყვანებენ და მერე ისევ სათევზაოდ მოდიან.

**თამაშის წესები:** 1: აკრძალულია თევზის ხელით დაჭერა, საჭიროა თევზი ბადეში მოჰყვეს.

2. თევზი, რომელიც მოედნის ხაზიდან გადავა, დაჭერილად ითვლება.

## ქილასხნიობა.

უფარვის ან გატეხილ ქილებს მოედანზე დააწყობენ. რამდენი ქილაც იქნება, იმდენსავე მოთამაშეს თვალებს აუხვევენ, დაწყობილი ქილების წინ დააყენებენ და ხელში ჯოხს მისცემენ. თვალახვეულები სამჯერ ადგილზე უნდა შემოტრიალდნენ, რის შემდეგ უნდა შეჩერდნენ და ქილას ჯოხი უნდა დაჰკრან. აღსანიშნავია, რომ ხშირად ტრიალის

დროს მოთამაშე ვერ ერკვევა და შეჩერებისას დარწმუნებულია, რომ პირისაზე ქილისაკენ აქვს, სინამდვილეში კი ქილა მის ზურგს უკან იმყოფება და იგი ჯოხს ტყუილა-უბრალოდ ურტყამს მიწას.

მოგებული ის იქნება, რომელიც შემოტრიალებისთანავე ქილის პირდაპირ შეჩერდება და ჯოხის შემოკვრით მის გატეხას შესძლებს.



გაგოღის

1929 წ.

გაგოღის

ორკვირეული საყმაწვილო დასურათებული

→ შ უ რ ნ ა ლ ი ←

მოზრდილთათვის

# პიონერი

ვაჟივანი III

ჟურნალი ს. ს. ს. რ. ყველა სკოლისათვის სავალდებულოა.

ღენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ორგანიზაციის ყოველი წევრის, ორგანიზაციის ყოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თითოეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულე-ბაა გამოიწერონ

## პიონერი

მიიღება ხელმოწერა 1929 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით:

- წელიწადში — 5 მან.
- ექვს თვეს — 3 მან.
- სამ თვეს — 1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი — 25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 22, სახელგამი. ახალგაზრდათა სექტორი (მეორე სართული). „პიონერი“-ს და „ოქტომბრული“-ს რედაქცია